

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი
პრიორიტეტების დოკუმენტი



2019 წელი


თავი I ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

შესავალი

საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესი გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის, საშუალოვადიანი პროექტებისა და აქტივობების დაგეგმვის, დამტკიცების, განხორციელებისა და ანგარიშგების ერთიან პროცესს. ამ პროცესის მეშვეობით განისაზღვრება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული განახორციელებს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი ეფუძნება ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია - „ქუთაისი 2021“-ს და თანხვედრაში მოდის როგორც ქვეყნის მდგრადი განვითარების, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო, რეგიონალური და ადგილობრივ სტრატეგიებთან, როგორც არის ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ფარგლებში შემუშავებული ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 გეგმა (LEDP), საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021“, „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020“, „იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021“, ასევე ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ შემუშავებული სხვა გეგმები: „ქალაქ ქუთაისის ენერჯეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა“ (SEAP), „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2019წწ.“ (UNDP პროექტის ფარგლებში), „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფცია“.


პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშნული სტრატეგიების განხორციელების მექანიზმს საშუალოვადიან პერიოდში, ხოლო თავის მხრივ პრიორიტეტების დოკუმენტით დასახული მიზნების მიღწევისათვის ყოველწლიური ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული პროგრამები და ქვეპროგრამები (იხ. დანართი). ამასთან, ვინაიდან ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა ხდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, მასში დეტალურად გაიწერა და ნათლად წარმოჩინდა თითოეული სტრატეგიული პროგრამის და პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და მისაღები/მიღებული შედეგები, ასევე მათი შეფასების ინდიკატორები.



საშუალოვადაიანი პრიორიტეტების დოკუმენტის რეალიზაცია ორიენტირებულია ქალაქ ქუთაისში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, შიდა და გარე პოზიციებზე ქალაქის ცნობადობისა და ადგილობრივი ეკონომიკის დინამიური ზრდის, მცირე და საშუალო ბიზნესის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის, სიღარიბის ეტაპობრივი დამლევის, სოციალური ფონისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობაზე.


ქუთაისის შესახებ

ქუთაისი 3500 წლის ისტორიით მსოფლიოს უძველესი ქალაქების ათეულში შედის, რომელიც დღესაც ვითარდება. მისი ისტორია დაკავშირებულია არგონავტების, მედეასა და ოქროს საწმისის მითთან. ქალაქი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და წარმოადგენს იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს.



ქუთაისი ტერიტორიული სიდიდის მიხედვით საქართველოს რიგით მეორე ქალაქია დედაქალაქის შემდეგ და მისი ფართობი 70 კვ.კმ-ია. ქალაქის განაშენიანებული კვარტლები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გრძელდება 7,9 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 10 კმ-ზე. ქალაქის პირველადი საგზაო ქსელის სიგრძეა 231.3 კმ.


ქუთაისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მიმზიდველ პირობებს ქმნის მრავალმხრივი განვითარებისათვის. ქუთაისი მდებარეობს მიწისძვრების, მეწყერებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების დაბალი რისკის ზონაში და გარშემოტყმულია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ტერიტორიებით. ქალაქი განსაკუთრებით მდიდარია კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობით, ასევე ცნობილია თავისი გასტრონომიითა და სტუმართმოყვარეობით. ქუთაისის მიმზიდველობას ზრდის იმერეთის რეგიონში მდებარე ორმოცდაათზე მეტი ისტორიული და სამკურნალო-რეკრეაციული დანიშნულების ადგილებთან სიახლოვე. განსაკუთრებული როლი აქვს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს, საიდანაც ფრენები ხორციელდება ევროპის 19 ქვეყანის 41 ქალაქში. ასევე შიდა ფრენა მესტიის მიმართულებით. ყოველწლიურად მზარდია ფრენის მიმართულებების რაოდენობა.



ქუთაისი საქართველოს ყველა სტრატეგიულ ადგილთან საგზაო ქსელის მეშვეობითაა დაკავშირებული. მანძილი ბათუმის პორტამდე - 139 კმ, ფოთის პორტამდე -105 კმ, მანძილი დედაქალაქამდე - 225 კმ, ევროპა-აზიის დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალამდე -7 კმ, მთავარ სარკინიგზო სადგურამდე -10 კმ, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტამდე -18კმ.

ადმინისტრაციული ერთეულები.


ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 მუნიციპალურ ერთეულს - ქალაქ ქუთაისს. ქალაქი დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ ერთეულად.



მოსახლეობა. დასაქმება.

2016 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა 138.200 ათასი კაცია (საქართველოს მოსახლეობის 3,71 %). ქუთაისის მოსახლეობის წილი საქართველოს ურბანულ მოსახლეობაში 7.5%-დან 7%-მდე შემცირდა. შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო ასაკი 38,8 წელია, სიცოცხლის საშუალო ასაკი შეადგენს 72.9 წელს, ქალებისათვის ეს მაჩვენებელი - 77.2 წელია, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში 68.6 წელი. მიგრაციის შედეგად, ბოლო 30 წელიწადში, ქუთაისის მოსახლეობა 36%-ით შემცირდა.

2017 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ქალაქ ქუთაისში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 25034-ს, რაც იმერეთის რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობის 48%ია. დასაქმებულთა მაჩვენებლით ქუთაისი მსხვილი ქალაქებიდან (გარდა თბილისისა) ორჯერ ჩამორჩება ბათუმს და მცირედით უსწრებს რუსთავს. ამასთან, მზარდია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 16-18%-ს შეადგენს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქის დასაქმების სტრუქტურა. კერძოდ, თუკი ტრადიციულად ქალაქის ეკონომიკაში სამრეწველო სექტორი დომინირებდა, ახლა მრეწველობაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობა შეადგენს 13,1%-ს, ხოლო ვაჭრობა-მომსახურებაში - 39,2%-ს, ჯანდაცვაში - 9,8%-ს, განათლებასა და სპორტში - 17,8%-ს, საბიუჯეტო სტრუქტურა-20,1%.



ადგილობრივი თვითმმართველობა. მუნიციპალური ელექტრონული სერვისები.

ქუთაისი თვითმმართველი ქალაქის სტატუს ატარებს. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას წარმოადგენს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანო - მერი და წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო 25 წევრისაგან შემდგარი, რომლის 10 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 15 წევრი პროპორციული სისტემით.

ადგილობრივი თვითმმართველობა მისი უფლებამოსილების ფარგლებში ელექტრონული სერვისების საშუალებით ახდენს მუნიციპალური მომსახურებების ეფექტურ მიწოდებას. ამ მიზნისათვის კერძო-საჯარო პარტნიორობის, ინფორმაციის პროაქტიულობის და გამჭვირვალობის მიზნით დანერგულია შემდეგი ელექტრონული სერვისები. მერიის ოფიციალური ვებ გვერდი Kutaisi.gov.ge, სამშენებლო-სარეკლამო ნებართვების გამარტივებული წესით წარდგენა-მიღებისათვის ვებ-გვერდი my.kutaisi.gov.ge. სამოქალაქო და კერძო სექტორს მუნიციპალურ ტენდერებში და აუქციონებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ვებ-გვერდების procurement.gov.ge და eauction.gov.ge მეშვეობით. უძრავი ქონებით დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია ქუთაისის ზონალური განაშენიანების ინტერაქტიული რუქა maps.kutaisi.gov.ge. სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობისთვის მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა volis.kutaisi.gov.ge, სადაც ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს ეძლევა საშუალება წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები, იდეები ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. მიუხედავად მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სერვისებისა, დღესდღეობით არ არსებობს ელექტრონული პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს პოტენციურ ინვესტორებს დისტანციურად მიიღოს საინვესტიციო უძრავ ქონებაზე ინფორმაცია.

საინვესტიციო გარემო და ადგილობრივი ეკონომიკა.

ქუთაისში ბიზნესის წარმოება და ინვესტირება დაბალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რაც განპირობებულია ერთის მხრივ ხელმისაწვდომ უძრავ ქონებაზე და მეორეს მხრივ სამუშაო ძალაზე, მუდმივად განვითარებად ინფრასტრუქტურაზე, სიახლოვით ევროპა-აზიის მთავარ მაგისტრალთან, სარკინიგზო ხაზთან, საერთაშორისო აეროპორტთან და პორტებთან.

ქუთაისს გარს აკრავს იმერეთის 11 მუნიციპალიტეტი თავისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქებითა და სოფლებით, 300 ათასი მოსახლით, რომლებიც ქალაქისათვის პოტენციურ და ხელმისაწვდომ აქტიურ ძალათ მიიჩნევა და არის პოტენციური მცირე გადამამუშავებელი და აგრო საწარმოების შექმნისათვის.

საინვესტიციო მიმზიდველობისათვის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის გამოიკვეთება ასევე ქუთაისის იმერეთის რეკრეაციულ ზოლში მდებარეობა, რაც განპირობებულია 50-მდე არსებული საკურორტო-დასასვენებელი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრების და კარსტული გამოქვაბულების, ბუნებრივი რესურსებისა და წიაღისეულის ხელმისაწვდომობით, ვაკე რელიეფით და კარგი კლიმატური პირობებით.

ხელმისაწვდომია ენერგომატარებლები. ქალაქი ეკონომიკური აქტივობებისათვის უზრუნველყოფილია კომუნალური ინფრასტრუქტურით: ელექტროფიცირება 100%, გაზიფიცირება 98%, სასმელი წყლით მომარაგება 99%, ინტერნეტთან წვდომა 68% და ფიჭურკავშირგამბულობა 83%. არსებობს ასევე ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის (მზის, ქარის) წარმოების პოტენციალი.

ქუთაისს შუაზე ყოფს მდინარე რიონი, რომელიც საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების ულევ წყლის და ელექტროენერჯის წარმოების რესურს იძლევა. ქალაქში არსებული 2 ჰიდროელექტრო სადგურის (რიონჰესი, გუმათჰესი) გამომუშავებული ენერჯია 115 მგვტ აღწევს.

ქუთაისი ფაქტობრივად ასრულებს დასავლეთ საქართველოში ვაჭრობის, მომსახურების, განათლების, ტურიზმის, ლოჯისტიკის, ჯანდაცვის ჰაბის ფუნქციას.

ქუთაისში შექმნილია ორი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა რომელთა ტერიტორიების 60%-მდე დატვირთულია და ოპერირებს 200-მდე სხვადასხვა პროფილის ბიზნეს კომპანიები. დაწესებული შეღავათიანი საგადასახადო სისტემა და მომხიბვლელი პირობები საინვესტიციო მიმზიდველობას კიდევ უფრო ზრდის.

საქართველოში არსებული საერთაშორისო შეთანხმებები და თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს როგორც პოტენციურ ინვესტორებს, ასევე ადგილობრივ მწარმოებლებს. ქუთაისში წარმოებული პროდუქციებიდან საერთაშორისო ხარისხის შესაბამისობაშია 17 დასახელების ადგილობრივი პროდუქცია (ჩირი, დაფნა, თხილი, მწვანილი, ჩაი, თაფლი, საკმაზ-სანელებლები, ტექსტილი, პლასტმასის, რეზინის და თუჯის ნაკეთობები, ჯაგრისები და საყოფაცხოვრებო ნივთები, ხის ნაკეთობები და ავეჯი, სამკურნალო მცენარეები, ფაფა ბურღლელი და სიმინდის ფქვილი, ღვინო, საკონსერვო პროდუქცია, გრანიტის ქვა), ექსპორტზე გადაიტვირთება მსოფლიოს 15 ქვეყანაში.

შეღავათიანი სავაჭრო რეგულაციები საქართველოში

- ❖ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ევროკავშირთან
- ❖ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან (ჰონგ-კონგის ჩათვლით)
- ❖ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (FTA) EFTA - ს ქვეყნებთან (ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლინხტენშტეინი), უკრაინა , თურქეთი და დსთ-ს ქვეყნები
- ❖ შეთანხმება GSP აშშ, კანადასა და იაპონიასთან
- ❖ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი (WTO)
- ❖ მარტივი და მომსახურებაზე ორიენტირებული საბაჟო პოლიტიკა და ადმინისტრირება – 15 წუთში განბაჟება
- ❖ საქონლის 80% თავისუფალია იმპორტის გადასახადისგან
- ❖ არ არის რაოდენობრივი შეზღუდვები



ქუთაისი დამმობილებულია მსოფლიოს 18 ქვეყანის 29 ქალაქთან:

- დიდი ბრიტანეთი (ნიუ პორტი);
- აზერბაიჯანი (განჯა);
- ისრაელი (აშკელონი, ჰაიფა);
- აშშ (კოლუმბია);
- უკრაინა (ნიკოლაევი, ლვოვი, ხარკოვი, ზაპოროჟიე, სუმი, ჟიტომორი, დნიპრო);
- პოლონეთი (პოზნანი, კრაკოვი, ვროცლავი);
- თურქეთი (კარშიაკა);
- უნგრეთი (სომბათჰეი);
- ჩინეთი (ნანჩანგი, ლაივუ);
- მოლდოვა (უნგენი);
- სლოვენია (მარიბოლი);
- ლატვია (ვალკა);
- ესტონეთი (ვალგა, ტარტუ);
- ბელარუსი (გომელი);
- იტალია (კოზენცა);
- ლიეტუვა (კაუნასი);
- საფრანგეთი (სტრასბურგი);
- რუმინეთი (იაში).


დამმობილებული ქალაქები ჩართულია ქუთაისის ყოველწლიურ საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფორუმებში, ღონისძიებებში. ხშირია დელეგაციების

ურთიერთვიზიტები, კულტურულ-ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში. დამმობილებულ ქალაქებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქუთაისის ცნობადობის ზრდას და საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენას საერთაშორისო არენაზე. მნიშვნელოვანია დამმობილებულ ქალაქებთან არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის.



ქუთაისის ეკონომიკურ აქტივობებში მნიშვნელოვანი ბიძგის მიმცემია სახელმწიფო პროგრამებით განხორციელებული სუბსიდირება. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მიხედვით მზარდია დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა: ინდუსტრიული, „უმასპინძლე საქართველოში“, მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი კომპონენტების ფარგლებში სულ დაფინანსდა 229 ბენეფიციარი, რომელთა საერთო სუბსიდირებამ შეადგინა 2907094 ლარი, მათ შორის გრანტი შეადგენს 48,2%-ს, ხოლო საერთო ჯამური ინვესტიცია შეადგენს 28816341 ლარს. აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 1481 სამუშაო ადგილი.

სუბსიდირება - "აწარმოე საქართველოში"



ქუთაისში ამჟამად 21 ათასამდე ბიზნეს სუბიექტია. აქედან მიკრო ბიზნეს წარმოადგენს 28,6%, მცირე ბიზნესს - 43,8%, საშუალო ბიზნესს - 27,5%, ხოლო 0,1% მსხვილ ბიზნესზე მოდის. ყოველწლიურად იზრდება ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა.

ადგილობრივი ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამჟამად მიმდინარე მეგა პროექტები: ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ქუთაისის ელექტრომობილების საწარმო, რომელთა დასრულების შემდგომ შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება ქალაქის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე, შემცირდება მიგრაციული პროცესები.

ქუთაისის ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურა დეინდუსტრიალიზაციის შემდგომ მნიშვნელოვნად შეიცვალა. რთულად, მაგრამ ნელი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის ეკონომიკის გამოცოცხლება. ქუთაისი ჯერ კიდევ რეალურ და მძაფრ კონკურენციაშია განვითარების რესურსებით საქართველოს დიდ ქალაქებთან. ქალაქი ეძებს ახალ შესაძლებლობებს განვითარებისათვის, რაშიც უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის, მუნიციპალიტეტების ფართო ჩართულობა.

ქუთაისის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადამამუშავებელ მრეწველობას, მაგრამ ის არ წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქუთაისის დასაქმებული მოსახლეობის 39% ვაჭრობა-მომსახურების სფეროზე მოდის, წარმოების სფერო კი მხოლოდ 11 % შეადგენს, შემდეგ მოდის ჯანდაცვა 10%, განათლება და სპორტი 18%, სხვადასხვა 22%.

ქუთაისში წარმოებული და გადამუშავებული ძირითადი პროდუქცია:

- ელექტროენერჯია;
- დეკორატიული და საამშენებლო ქვის დამუშავება (მარმარილო, ცარცი, გრანიტი და ა.შ.);
- გადამუშავებული ხე-ტყე, ავეჯი;
- ლითონი და ლითონნაკეთობები, თუჯის სხმულები;
- პლასტმასის, რეზინის და მეტალოპლასტმასის ნაკეთობები;
- ჯაგრისი და საყოფაცხოვრებო ნივთები;
- ბეტონი, რკინა-ბეტონი და ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები, საკედლე ბლოკები;
- ლაქ-საღებავები და მათი მინერალური პიგმენტები;
- ქიმიური ნივთიერებები;
- საკვები პროდუქტები (პურფუნთუშეულის წარმოება, ხორბლის გადამუშავება, ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური და უალკოჰოლო სასმელები, ხორცი და ხორცპროდუქტები, საკონდიტრო, რძის პროდუქტები, მაკარონი, ჩაი, სუნელ და საკმაზ-სანელებლები და საკმაზ სანელებლები, ფაფა ბურღლეული და სიმინდის ფქვილი, საწებლები და საკონსერვო პროდუქცია, თაფლი, ჩირი);
- დაფნა, მშრალი სამკურნალო მცენარეები, თხილი;
- ფეხსაცმელი და ტყავის ნაწარმი;
- ტექსტილი, ტრიკოტაჟი და ნაქსოვი ტილო, შალის ბოჭკო, ქსოვილები და საგალანტერიო ნაწარმი.

შრომისუნარიანი მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტებში, ასევე მომსახურების სფეროს ისეთ დარგებში, როგორცაა: ესთეტიკური მომსახურება, ინდკერვა, ავტო-ტექ სერვისი, საზოგადოება. ხოლო მცირე ზომის საწარმოებში დასაქმება გამოკვეთილია პურ-ფუნთუშეულის, საკონდიტროს, ნახევარფაბრიკატების სფეროში. გარდა ამისა, თვითდასაქმებულთა მნიშვნელოვანი წილი მოდის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მიმართულებით.

ქუთაისში რეგისტრირებული ბიზნესის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმების მიხედვით 73,2% ინდივიდუალურ მეწარმეებზე მოდის, 26,4% შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, 0,35% სააქციო საზოგადოება, ხოლო 0,05% უცხოური კომპანიების წარმომადგენლობებია.

ადგილობრივ ეკონომიკაში გენდერული ბალანსი შედარებით სუსტადაა გამოხატული. მეწარმე ქალთა ხვედრითი წილი 34% შეადგენს.

ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა ქალაქში და ხასითდება დადებითი ეკონომიკური ეფექტურობით. ამ სექტორში ნელ-ნელა იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა, შესამჩნევი ხდება ინვესტიციების ზრდის ტენდენციები.

ქუთაისში ფუნქციონირებს დასავლეთ საქართველოში სიდიდით გამორჩეული იმერეთის მიმართულების მართვის ორგანიზაცია (DMO), რომელიც თავისი საქმიანობით პოპულარიზაციას უწევს ტურიზმის პოტენციალს, ამზადებს და ავრცელებს საიმიჯო კლიპებს, სისტემატიურად აწვობს ინფო ტურებს და მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებზე, რითაც ხელი ეწყობა როგორც ქუთაისის, ასევე იმერეთის რეგიონის ტურისტული ინდუსტრიის პოპულარიზაციას და მოქნილ, კონკურენტუნარიან რეგიონად წარმოჩენას.

ქალაქში მომატებული ტურისტების რაოდენობა ბიძგს აძლევს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას. კვლავ მცირეა საერთაშორისო ბრენდირებული სასტუმროების რაოდენობა, თუმცა იზრდება საოჯახო ტიპის სასტუმრო-სახლები და ჰოსტელები. დღეის მდგომარეობით ქალაქში ფუნქციონირებს 250-მდე სხვადასხვა ზომის სასტუმრო, 3000 საწოლით, რაც სეზონური დატვირთვის პერიოდში სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.


ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, სადაც მოქმედი აგრობაზრობები, სავაჭრო-სადისტრიბუციო ცენტრები უზრუნველყოფენ რეგიონის სავაჭრო აქტივობებს, მაგრამ არასაკმარისად განვითარებული სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები სრულად ვერ პასუხობენ ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად არსებული გამარტივებული სარეგისტრაციო პროცედურების და მზარდი ახლად რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისა, მცირეა მათი სიცოცხლისუნარიანობა. წარმოებაში არსებული დაბალი კონკურენტუნარიანობა, არსებული ამორტიზებული ტექნიკა, არასაკმარისი მიწა და ინფრასტრუქტურა, დაფინანსების მიღებისათვის დაწესებული საბანკო პირობები და მაღალი საპროცენტო განაკვეთები, არაკვალიფიციური კადრები, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე პარტნიორების ნაკლებობა ბიზნესის ძირითადი ბარიერებია.

ქუთაისი ცდილობს, გაუმკლავდეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, სახელმწიფო პროგრამები და ადგილობრივი ბიუჯეტი საკმარისი არ არის ქალაქის ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებისთვის. აშკარად შესამჩნევი ხდება კერძო ინვესტიციების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა. არასაკმარისად არის განვითარებული კერძო და საჯარო სექტორში რესურს დამზოგი ტექნოლოგიები და ენერგოეფექტური სისტემები.

ქუთაისი საქართველოს ურბანული ეკონომიკის ქალაქების დიდ ოთხეულში შედის, სადაც თანმიმდევრულად იზრდება ადგილობრივი ეკონომიკა, შესაძლებელია ზრდის პროცესი კიდევ მეტად პროდუქტიული გახდეს საერთაშორისო ფირმებისა და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარებით, რომლებსაც შეუძლია ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისათვის. საინვესტიციო მიმზიდველ დარგებად მიიჩნევა უძრავი ქონება, ტრანსპორტი, მშენებლობა, მცირე საწარმოები, სასტუმრო ინდუსტრია.

კვლავ შეუმუშავებელია მიწათსარგებლობისა და განაშენიანების გეგმა, რაც უძრავი ქონების და სამშენებლო სექტორში ინვესტირებას აფერხებს. თუმცა ბიზნეს სექტორისათვის კვლავინდებურად ინტერესის სფეროს წარმოადგენს თავისუფალი მუნიციპალური უძრავი ქონება.



საშუალოვადიან პერესპექტივაში ინვესტირების ზრდა დამოკიდებული იქნება სისტემურ ხელისშემშლელ ფაქტორებთან გამკლავებაზე. ადგილობრივი თვითმმართველობა პრიორიტეტად მიიჩნევს იმ სისტემური ბარიერების მოხსნას, რომელიც მის კომპეტენციაშია და დაძლევადა ქალაქის რესურსებით: ა) სივრცითი განვითარების და მიწათსარგებლობის გეგმის დასრულება, აქტივების (მიწა და შენობა-ნაგებობები) აღწერა, სისტემატიზაცია და ელექტრონული სერვისების დანერგვა დაინტერესებულ პირთათვის დისტანციურად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; ბ) ქალაქის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ცოდნისა და გამოცდილების არსებობას, ახალი ტურისტული ატრაქციებისა და პროდუქტების შექმნას მეზობელ მუნიციპალიტეტებთან, ცენტრალურ უწყებებთან და ბიზნესთან მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობით.

ქუთაისის საინვესტიციო მიზიდველობის ფაქტორები ადგილობრივი თვითმმართველობის გავლენა

ინვესტორისთვის



მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი



მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

ქუთაისის განვითარების საშუალო ვადიანი ხედვა

ქუთაისის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალო ვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ სამომავლო მისწრაფებებსა და მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და სტრატეგიის, ასევე, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად. ცხადია, მხოლოდ წინამდებარე პრიორიტეტების დოკუმენტის განხორციელება არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხედვაში დაფიქსირებულ სასურველ ვითარებას. თუმცა, ამ დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სასურველი მდგომარეობის დადგომას, რასაც ქალაქის განვითარების ხედვა ითვალისწინებს. ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ფართო ჩართულობა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის დადებით წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

ხედვა: ქუთაისი - დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქია, სადაც არსებული რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენებით უზრუნველყოფილია ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები. ის ადმინისტრაციულ, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას და ბიზნეს სტრუქტურებს; მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ, ბიზნესის კეთებისათვის, განათლების მისაღებად, ტურიზმისა და დასვენებისათვის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქის სტუმართათვის.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია აკონკრეტებს თვითმმართველი ერთეულის სამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის. მასში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.

მისია: ქუთაისი არის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი საქართველოში, რომელიც დაკავშირებული მხარეების ფართო ჩართულობით უზრუნველყოფს:

- მაღალი ხარისხის განათლების სერვისის მიწოდებას;
- მაღალი ხარისხის ადმინისტრაციული, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო სერვისის მიწოდებას;

- საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას;
- საქალაქო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;
- ქალაქის ცნობადობის გაზრდას;
- ტურისტული ატრაქციების გაუმჯობესებას და მათი მიმზიდველობის ზრდას;
- გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას;
- ეკოლოგიური და გამწვანების სტანდარტების დაცვას.

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან და რეგიონის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

თავი II ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლებისა და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
1	2	3	4	5	6	7
შემოსავლები	58,912.2	62,142.8	54,936.2	56,584.3	58,281.8	60,030.3
გადასახადები	12,771.9	40,735.3	44,868.1	46,214.1	47,600.6	49,028.6
გრანტები	37,414.9	11,641.8	1,088.1	1,120.7	1,154.4	1,189.0
სხვა შემოსავლები	8,725.4	9,765.7	8,980.0	9,249.4	9,526.9	9,812.7
ხარჯები	46,421.4	54,016.4	50,589.7	52,107.4	53,670.6	55,280.7
შრომის ანაზღაურება	4,442.0	24,597.1	25,135.8	25,889.4	26,666.0	27,466.0
საქონელი და მომსახურება	5,322.9	16,253.9	16,538.1	17,034.8	17,545.8	18,072.2

პროცენტი	484.1	412.0	375.2	386.5	398.0	410.0
სუბსიდიები	29,693.8	2,453.3	2,554.8	2,631.4	2,710.4	2,791.7
გრანტები	168.0	215.0	77.0	79.3	81.7	84.1
სოციალური უზრუნველყოფა	3,620.5	3,959.8	4,006.3	4,126.5	4,250.3	4,377.8
სხვა ხარჯები	2,690.1	6,125.3	1,902.5	1,959.6	2,018.4	2,078.9
საოპერაციო სალდო	12,490.8	8,126.4	4,346.5	4,476.9	4,611.2	4,749.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8,401.8	15,550.4	6,309.6	6,498.9	6,693.9	6,894.7
ზრდა	11,789.2	19,800.4	9,809.6	10,103.9	10,407.0	10,719.2
კლება	3,387.4	4,250.0	3,500.0	3,605.0	3,713.2	3,824.5
მთლიანი სალდო	4,089.0	-7,424.0	-1,963.1	-2,022.0	-2,082.7	-2,145.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	3,782.1	-7,893.0	-2,600.0	-2,678.0	-2,758.3	-2,841.1
ზრდა	7,966.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი			0.0			
სხვა დებიტორული დავალიანებები	7,966.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	4,184.3	7,893.0	2,600.0	2,678.0	2,758.3	2,841.1
სხვა დებიტორული დავალიანებები	4,184.3	7,893.0	2,600.0	2,678.0	2,758.3	2,841.1
ვალდებულებების ცვლილება	-306.9	-469.0	-636.9	-656.0	-675.7	-696.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო			0.0			
საგარეო			0.0			
კლება	306.9	469.0	636.9	656.0	675.7	696.0
საშინაო	306.9	469.0	636.9	656.0	675.7	696.0
საგარეო			0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

2018 წლის ბიუჯეტის ანალიზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 18 იანვარს, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N21 დადგენილებით, 54070,4 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 8 ცვლილება და წლის ბოლოს 67301,9 ათასი ლარი შეადგინა.

შემოსავლები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 58912,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 60049,2 ათასი ლარის 98,1%-ია.

გადასახადების სახით 2018 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში მოხილვებულია 12771,9 ათასი ლარი, გეგმა (12600,0 ათასი ლარი) შესრულდა 101,4%-ით.

საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 5410,8 ათას ლარს (გეგმა 5500,0 ათასი ლარი), შესრულებულია 98,4%-ით. მათ შორის: გადასახადი ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან შეადგენს 4663,6 ათას ლარს, არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა) – 4,3 ათას ლარს, გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან - 40,7 ათას ლარს. გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან -702,2 ათას ლარს.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიღებულია 7361,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (7100,0 ათასი ლარი) 103,7%-ია, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 5602,2 ათასი ლარი (გეგმა 5670,0 შესრულდა 98,8%-ით), უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გადასახადი შემოვიდა 17,3 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (50,0 ათასი ლარი) 34,6%-ია, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 426,7 ათასი ლარი (გეგმა 280,0 ათასი ლარი შესრულდა 152,4%-ით), გადასახადი მიწაზე - 1314,9 ათასი ლარი (გეგმის 1100,0 ლარი 119,5%).

გრანტები

2018 წელს გრანტების სახით ქუთაისის ბიუჯეტში ჩაირიცხა 37414,9 ათასი ლარი, გეგმის (37921,7 ათასი ლარი) 98,7%, აქედან, **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 603,7 ათას ლარს, სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 36811,2 ათას ლარს**, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 25678,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 220,0 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 11954,7 ათასი ლარიდან მიღებულ იქნა - 10913,2 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

2018 წლის განმავლობაში სხვა შემოსავლების კუთხით შემოვიდა 8725,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (9527,5 ათასი ლარის) 91,6%-ს შეადგენს.

რენტის სახით ბიუჯეტში შემოსულია 181,1 ათასი ლარი, მათ შორის:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 94,8 ათასი ლარი; **შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან** - 86,3 ათასი ლარი, გეგმა (50,0 ათასი ლარი) შესრულდა 172,6%-ით;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 2041,8 ათასი ლარი, გეგმის (2300,0 ათასი ლარი) 88,8%;

სანებართვო მოსაკრებლები - 76,8 ათასი ლარი, გეგმის (150,0 ათასი ლარი) 51,2%;

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - ფაქტობრივად შემოვიდა 2,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,0 ათასი ლარი) 28%-ია.;

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შესრულდა 90,3%-ით (გეგმა 2000,0 ათასი ლარი), ფაქტობრივად შემოვიდა 1806,1 ათასი ლარი. ასევე სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი მოსაკრებლების კუთხით მიღებულია 2,3 ათასი ლარი;

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან მიღებულია 1,3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) - ფაქტობრივად შემოსულმა თანხამ შეადგინა 2809,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2775,5 ათასი ლარი) 101,2%-ია.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებულია 547,0 ათასი ლარი (გეგმის 97,3%).

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების კუთხით სულ მიღებულია 1256,5 ათასი ლარი, გეგმა (1450,0 ათასი ლარი) შესრულდა 86,7%-ით. წლიური გეგმის განსაზღვრა მოხდა წინა წლების (2015-2017 წწ) ფაქტებიდან გამომდინარე.

არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 3387,4 ათასი ლარი, გეგმა (3550,0 ათასი ლარი) შესრულდა 95,4%-ით, სადაც ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოვიდა 1691,8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 1695,6 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივები

2018 წლის დასაწყისში ფინანსურმა აქტივებმა შეადგინა 4184,3 ათასი ლარი.

ვალდებულებები

აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2018 წლის ბიუჯეტში წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 362,6 ათასი ლარის ოდენობით, აქედან დაიხარჯა 306,9 ათასი ლარი (გეგმის 84,6%).

გადასახდელები

2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 58517,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 67301,9 ათასი ლარის 86,9%-ია. შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ დაფინანსდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები, შესრულდა ქალაქის ინფრასტრუქტურისა და სოციალურ სფეროებში არსებული ყველა აუცილებელი ვალდებულება.

სარეზერვო ფონდიდან დაიხარჯა 553,7 ათასი ლარი, აქედან: მოქალაქეთა მატერიალური დახმარებისათვის დახარჯულია 468,2 ათასი ლარი; თეატრების მხარდაჭერისათვის დაიხარჯა 9,5 ათასი ლარი; ფართის იჯარისათვის - 4,1 ათასი ლარი; სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მიზნით დაიხარჯა 71,9 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის 2018 წლის საკასო შესრულება შეადგენს 16715,8 ათას ლარს. გეგმა განისაზღვრა 24424,3 ათასი ლარით (68,4%).

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 8630.9 ათასი ლარით, გეგმა 13710.8 ათასი ლარი შესრულდა 62.9%-ით.

გზებისა და ტროტუარების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობის ხარჯები დაფინანსდა 6995.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (11014.9 ათასი ლარი) 63.5%-ია. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა 38 ქუჩას და 2 ქუჩაზე დღეის მგომარეობით მიმდინარეობს სამუშაოები. მოწყობა 24107 მ² ასფალტის საფარი. 33761 მ² ბეტონის საფარი, ორმოულად შეკეთდა 20000 მ² ასფალტის საფარი. სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ქუჩებზე: ბელიაშვილის ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; ვალერიან გუნიას ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; ტყიბულის ქუჩის მე-2 და

მე-3 შესახვევების, დ.თავდადებულის ქუჩის მე-2 შესახვევისა და თომაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; გელათის ქუჩის მე-4 შესახვევის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; ტყიბულის ქუჩის ბოლო მონაკვეთის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; ლესელიძის ქუჩის მე-2 შესახვევის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; გელათის ქუჩაზე დედათა მონასტერთან მისასვლელი გზისა და მწვანეყვავილას ქუჩის №186, 188, 190, 192, 194, 196 ნომრებთან გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წერეთლის ქუჩის მე-8 ჩიხისა და ნინოშვილის ქუჩის მე-13 ჩიხის გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა – 207,8 ათასი ლარი; ახალგაზრდობის გამზირის მე-6 და მე-7 შესახვევების ბეტონის საფარით მოწყობა; ზვიად გამსახურდიას გამზირის მესამე ჩიხის გზის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; თაბუკაშვილის ქუჩის ბოლო მონაკვეთში, ეკლესიასთან მისასვლელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა; ასლანიკაშვილის ქუჩის პირველი შესახვევის, ლესელიძის ქუჩის 1ა ჩიხისა და ე.გაბაშვილის ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; თბილისის ქუჩის ა/ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; თბილისის ქუჩის პირველი, მე-2 და მე-4 ჩიხების ა/ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; თაბუკაშვილის ქუჩის მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ჩიხის ა/ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად; დუმბაძის ქუჩის რეაბილიტაცია (გზა, ტროტუარი, ღვარსადენი); ო.ფხაკაძის ქუჩის მე-2 შესახვევისა და ინგოროყვას ქუჩის მე-4 შესახვევის გზის ბეტონის საფარისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა; ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევში N7 ბინიდან თაბუკაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ გზამდე გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა; ი.ჭავჭავაძის გამზირის №67-ისა და №67ბ-ს მიმდებარედ გზის ინფრასტრუქტურის მოწყობა; ძნელაძის ქუჩის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები; ჭავჭავაძის გამზირზე „მაკდონალდსის“ ირგვლივ სანიაღვრე ქსელისა და გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები; ჟიული შარტავას ქუჩის მე-3 შესახვევის გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები (2016 წლის პროექტი); ასლანიკაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევი, ქეთევან წამებულის ქუჩის მე-2 შესახვევის გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები (2017 წლის პროექტი); იაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია (გზა, ტროტუარი, ღვარსადენი, სანათები (მიმდინარეობს სამუშაოები); ბარათაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია (გზა, ტროტუარი, ღვარსადენი (მიმდინარეობს სამუშაოები).

ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციისათვის გეგმა განისაზღვრა 257.1 ათასი ლარით, დაიხარჯა 113.6 ათასი ლარი (44.2%). მისასვლელი გზების რეაბილიტაცია განხორციელდა 17 ობიექტზე.

საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 555.0 ათასი ლარით და გეგმა (568.8 ათასი ლარი) შესრულდა 97.6%-ით. პროგრამის ფარგლებში ექსპლოატაცია გაეწია 16 ერთეულ ბუნებრივ სასულეს; მოეწყო ახალი ბუნებრივი სასულე ი.პეტრიწის ქუჩის N54-ში -15 ათასი ლარი; სერიოზული სამუშაოები ჩატარდა მდინარე ოლასკურას კალაპოტის გასაწმენდად; მოეწყო წერეთლის ქუჩის მერვე შესახვევისა და ნინოშვილის ქუჩის მეცამეტე ჩიხის ღვარსადენები; მოეწყო ი.პეტრიწის ქუჩაზე N78 სასულე.

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება დაფინანსდა 967.0 ათასი ლარის ფარგლებში, წლიური გეგმა შეადგენდა 1870.0 ათას ლარს (51.7%). ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული იქნა 52 693,61 ლარის გადასახური მასალა, მათ შორის 9 000 მ² ჰიდროსაიზოლაციო მასალა და 1 000მ² გოფრირებული თუნუქი. აღნიშნული მასალა სრულად გაიცა 58 მისამართზე. ქალაქში მოეწყო 26 საყრდენი კედელი, კერძოდ: ი.პეტრიწის ქუჩის N14-თან ლუკა ასათიანის ქუჩის N11(მანდარიას ქუჩა N19-თან); წერეთლის ქუჩის მე-5 ჩიხში, N19-თან (ახალი სანიაღვრე ქსელი და საყრდენი კედელი) გელათის ქუჩის N396-ის მიმდებარედ, გრიბოდგვის ქუჩის N2 სახლის ეზოსთან; სხირტლაძის ქუჩის N25 (მე-20 საჯარო სკოლის ეზოს ჩამონგრეული საყრდენი კედელი); ყაზბეგის ქუჩის მე-5 ჩიხის N50-თან; ყაზბეგის ქუჩის N15-თან (ქვის არსებული კედლის იერსახის შენარჩუნებით); ჭაბუკიანის ქუჩის N18-თან მდებარე სასულესთან (მისასვლელი არხი და საყრდენი კედელი); დავით და კონსტანტინეს ქუჩის N67-თან; ცაცხვების ქუჩის N3-თან; ასლანიკაშვილის ქუჩის N70-თან; ე.გაბაშვილის ქუჩის N14-თან; მიქელაძე-მეველეს ქუჩის პირველ შესახვევის N21-თან;

ასლანიკასვილის ქუჩის პირველი შესახვევის N1-ის მიმდებარედ; ახალგაზრდობის გამზირის მე-9 შესახვევთან (დასაწყისი); სოლომონ მეორეს ქუჩის N61ა-თან; ნიკო მარის ქუჩის N1-თან (რკინიგზის მხრიდან); მწვანე ყვავილას ქუჩის N31-თან; მწვანე ყვავილას ქუჩის N80 -თან; მწვანე ყვავილას ქუჩაზე გუმათი-2-თან; კიბულას ქუჩის პირველი შესახვევის N6-თან; კიბულას ქუჩის მე-4 შესახვევში (მარჯვენა მხარე); გელათის ქუჩის მე-6 შესახვევთან; თომაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის N2 -თან, გელათის ქუჩის მე-6 ჩიხის N2-თან. ვინაიდან სტიქია მოხდა 2018 წლის 30 ნოემბერს-01 დეკემბერს, აღნიშნული ხელშეკრულებების სამუშაოების საბოლოო შესრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 10 იანვრით. სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სრულად შესრულდა, თუმცა მათი ანაზღაურება დაკავშირებულია სახედამხედველო ორგანოს ინსპექტირების ანგარიშის წარმოდგენასთან, რის საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი თანხების ანაზღაურება.

პროგრამა „კორპუსისთვის“ 2018 წლის ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 2090.2 ათასი ლარი, აქედან დაიხარჯა 1379.6 ათასი ლარი (66%). 2018 წელს რეაბილიტაცია ჩატარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 55 ეზოს. დასრულებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 ლიფტზე: სულხან-საბას გამზირის N59-ში; ნიკეას ქუჩის N64-ში; ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის N20-ში; ხარებავას ქუჩის N6-ში; ბალანჩივაძის ქუჩის მე-2 შესახვევის N2/2-სა და თაბუკაშვილის ქუჩის N205-ში. მოეწყო 4 ფანჩატური, 2 საბავშვო ატრაქციონი უშუალოდ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის მისურაძის ქუჩის N15-ში და ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის N30-ში, გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულ იქნა და დამონტაჟდა 80 ძელსკამი, 11 ობიექტზე განხორციელდა დაზიანებული წყალ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია, 62 ობიექტზე რეაბილიტაცია ჩატარდა 113 სადარბაზოს. 74 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას გადაეცა 25000მ² სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალა.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა დაფინანსდა 25.7 ათასი ლარით და გეგმა (285.0 ათასი ლარი) შესრულდა 9%-ით. სამუშაოები დაყოფილია 3 ეტაპად: 1-ლი ეტაპის ფარგლებში დასრულდა სამუშაოები 15 ობიექტზე. მე-2 ეტაპის ფარგლებში დასრულდა სამუშაოები 5 ობიექტზე. მე-3 ეტაპის ფარგლებში დასრულდა სამუშაოები 6 ობიექტზე. სულ პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა 26 საცხოვრებელ სახლის სახურავს. ტენდერები გამოცხადდა 2018 წლის ოქტომბერში, რაც დაკავშირებული იყო სახედამხედველო ორგანოსთან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეთანხმებასთან. შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოების შესრულების ვადამ გადაიწია 2019 წლის იანვარ-თებერვალში.

საახალწლოდ ქალაქის გაფორმების ღონისძიებებისათვის დაზუსტებული გეგმიდან (270.0 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 265.6 ათასი ლარი, გეგმის 98.4%.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამის საკასო ხარჯმა შეადგინა 165.5 ათასი ლარი, გეგმა (290.0 ათასი ლარი) შესრულდა 57,1%-ით.

ქალაქის იერსახის მოწესრიგების პროგრამის საკასო შესრულება შეადგენს 5090.8 ათას ლარს, გეგმა 6207.9 ათასი ლარი შესრულდა 82%-ით.

გარეგანათების, ვიდეოკონტროლისა და შუქნიშნების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის საკასო შესრულებამ 487.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 488.6 ათასი ლარის 99.8%-ია. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში გარე განათების განყოფილების მიერ, 44 ქუჩაზე ძველი 150 ვატის ნათურები, ახალი ე.წ. „LED“ ტიპის 90 ვატის სანათებით შეიცვალა. ჯამში 1500 ცალი დიოდური სანათი დამონტაჟდა, რამაც ელექტრო ენერჯის ნაკლები დანახარჯი მოგვცა. წლის განმავლობაში მოხდა 3000 ცალი გარე განათების 150 ვატის ნათურების შეცვლა. ა(ა)იპ „ქუთაისის სერვისმა“ აღმამენებლის გამზირზე არსებული პალმების ხეივნის ღამის განათება აღადგინა. კერძოდ, ძველი დაზიანებული სანათები, ახალი 50

ვატიანი ე.წ. „LED“ ტიპის მწვანე ფერის სანათებით შეცვალა. ჯამში 289 ცალი თანამედროვე ტიპის სანათი დამონტაჟდა. ასევე, განხორციელდა ქალაქში არსებული 15 მინი მოედნისა და 8 მინი სკვერის დამის განათების აღდგენა. აქედან, 4 სკვერში ფერადი განათებები დამონტაჟდა. ასევე, მოხდა ბაგრატის ტაძართან ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებული დაზიანებული სანათების აღდგენა და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ოპერის თეატრის შენობის გარე ფასადის, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობებისა და მონპლუზირის თაღის გარე ფასადების დამის განათების აღდგენა. ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისმა“ „სამი ოთარის“, „ექვთიმეს ძეგლების“ მინათების აღდგენითი სამუშაოებიც განხორციელა. მანამდე არსებული 500 ვატიანი მეტალო ჰალოგენები დიოდური „LED“ ტიპის 150 ვატიანი სანათებით შეიცვალა. ნიკეასა და ლომოურის ქუჩების გზაჯვარედინზე ახალი შუქნიშანი მოეწყო, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ მოხვევის დამატებითი სექციითა მოწყობილი და გზაჯვარედინისა და სავალი ნაწილების გადაკვეთას მოაწესრიგებს. ასევე ქალაქის მასშტაბით მოხდა 8 კვეთაზე ძველ შუქნიშნებზე ნათურების შეცვლა (წლის განმავლობაში რამდენჯერმე). შეიცვალა 58 ცალი. გამოიცვალა 110 ცალი კონდენსატორი და 6 ცალი ადაფტერი. საფიჩხის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე, ამალეების სახელობის ეკლესიის შენობის გარე ფასადი განათდა. კერძოდ, ე.წ. „LED“ ტიპის 150 ვატიანი დეკორატიული სანათები დამონტაჟდა. განათდა დედაენის ძეგლი დიოდური სანათებით. კერძოდ, განხორციელდა ე.წ. „LED“ ტიპის 150 ვატიანი სანათების დამონტაჟება. მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკში, სკეიტ ბორდისთვის განკუთვნილი მოედნის ირგვლივ, ძველი 150 ვატიანი სანათები, ახალი LED ტიპის 90 ვატიანი სანათებით შეიცვალა. დახაზვების განყოფილების მიერ 28 ქუჩაზე ერთკონტურიანი, ორკონტურიანი, წყვეტილი, შეჩერების ხაზები დაიხაზა. ქვეითთა მოსიარულეთა გადასასვლელები 32-მდე ქუჩაზე დაიხაზა. ჯამში 154 ე.წ. „ზებრა“. საპარკინგე ადგილები მოეწყო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და 3 ქუჩაზე. ბორდიურების დახაზვა განხორციელდა აღმაშენებლისა და ახალგაზრდობის გამზირებზე. ქალაქის სხვადასხვა უბნებში 80-მდე გარე განათების ბოძი დამონტაჟდა.

შადრევნების ექსპლოატაციისათვის გეგმით გათვალისწინებული 396,3 ათასი ლარიდან დაიხარჯა 410,3 ათასი ლარი (96,6%). განხორციელდა 10 შადრევნისა და 4 სასმელი ნიჟარის მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაცია (ცენტრალურ ბაღში მდებარე 2 შადრევანი, ცენტრალურ მოედანზე მდებარე შადრევანი, ნინოშვილის ბაღში მდებარე შადრევანი, ხარაზოვის ბაღში მდებარე შადრევანი, I სკოლასთან მდებარე შადრევანი, ყოფილ პროკურატურასთან მდებარე შადრევანი, კიკვიძის სკვერში მდებარე შადრევანი, ნიკოლაძის სკვერში მდებარე შადრევანი, ზ. გამსახურდიას გამზირისა და შარტავას ქუჩის კვეთაზე მდებარე შადრევანი და სასმელი ნიჟარები).

ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობის პროგრამა დაფინანსდა 120.0 ათასი ლარის ოდენობით, გეგმით გათვალისწინებული 324.7 ათასი ლარის 37%-ით. 10 ობიექტზე მოეწყო საყრდენი კედელი: შარაგვისპირელის ქუჩის №39, კლდიაშვილის ქუჩის №36, პ.იაშვილის ქუჩის №21 და თომაშვილის ქუჩის №9-ის მიმდებარედ, პეტრიწის ქუჩის N20, ქეთევან წამებულის ქუჩის მე-2 შესახვევის №2, ქეთევან წამებულის ქუჩის №7 საყრდენი კედლის მოწყობა – 144,2 ათასი ლარი; მწვანე ყვავილას ქუჩის №10, №36, №76 საყრდენი კედლის მოწყობა – 160,5 ათასი ლარი; სამუშაოები დასრულდა 2019 წელს და შესაბამისად, მიღება-ჩაბარება და ანაზღაურება განხორციელდა მიმდინარე წელს.

ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებისათვის დაიხარჯა 331.1 ათასი ლარი, გეგმით (603.0 ათასი ლარი) გათვალისწინებულის 54.9%. 2018 წელს დაიწყო ქუთაისში „თეთრი ხიდის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება არ განხორციელებულა, ორგანიზაციამ ვერ შეძლო სამუშაოების ჯეროვნად შესრულება, რის გამოც შეუწყდა ხელშეკრულება. აღდგა პირვანდელ მდგომარეობაში ქალაქ ქუთაისში

ჯაჭვის ხიდის მოაჯირი. მოეწყო აკაკი ხორავას ქუაზე, რამაზ შენგელიას სახელობის ტორპედოს სტადიონთან დეკორატიული ბურთი.

მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაციისა და პანდუსების მოწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 465.3 ათასი ლარი შესრულდა (424.8 ათასი ლარი) 91.3%-ით. პროგრამის ფარგლებში მოწესრიგდა თაბუკაშვილის ქუჩის N1-ში მდებარე შენობის ფასადი; რეაბილიტაცია ჩაურადა 3 მრავალსართულიან სახლს: წერეთლის ქუჩის №142, თბილისის ქუჩის №33-ისა და წმინდა ნინოს ქუჩის №6-ს.

საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი შეადგენს 454,0 ათას ლარს, რაც გეგმის (612,6 ათასი ლარი) 74,1%-ია. პროგრამის ფარგლებში მოხდა პროექტების შექმნა, ზოგიერთი პროექტის ღირებულება, ვინაიდან გარდამავალი იყო, ანაზღაურდება 2019 წელს.

ქალაქ ქუთაისში მემორიალური დაფების მოწყობისა და პანთეონის მოვლის ხარჯი შეადგენს 12,4 ათას ლარს, რაც გეგმის (42,0 ათასი ლარი) 29,5%-ია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ქუთაისში, ცენტრალურ ბაღში მდებარე „დები იშხნელების“ 4 ფიგურიანი ქანდაკების დაზიანებული დეტალების აღდგენა-რესტავრაცია.

წინა პერიოდში განხორციელებული წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საბოლოო ანგარიშსწორების პროგრამა დაფინანსდა 436.7 ათასი ლარით, გეგმა განისაზღვრა 666.1 ათასი ლარით, (65.6%).

მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაციის პროგრამის ხარჯმა შეადგინა 267.0 ათასი ლარი, გეგმის (291.7 ათასი ლარი) 91.5%.

ეკონომიკის საკასო შესრულება შეადგენს 547,9 ათას ლარს, გეგმა 701,6 ათასი ლარი შესრულდა 78,1%-ით.

თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა - სულ დაიხარჯა 16,3 ათასი ლარი და გეგმა (30,0 ათასი ლარი) შესრულდა 54,3%-ით.

აიაბ „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის“ საკასო შესრულება შეადგენს 531,6 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 531,7 ათასი ლარით (100%). პროგრამის ფარგლებში ქალაქმა მონაწილეობა მიიღო 10 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, თანხები დაიხარჯა შემდეგი ღონისძიებებისათვის: პოლიგრაფიული ბეჭდვა; 10 ინფო-ტური, ყველის ფესტივალი, ქალაქის საიმეჯო ვიდეო რგოლი, ქალაქის ტურისტული საიტი, საინფორმაციო მანიშნებლები.

გარემოს დაცვის ხარჯები შეადგენს 5589,7 ათას ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 5640,1 ათას ლარს (99,1%).

აიაბ „სპეციალური სერვისებისათვის“ გეგმით გათვალისწინებული 4815,0 ათასი ლარიდან 2018 წელს დაიხარჯა 4812,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,9%-ია. ქვეპროგრამების ფარგლებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფარგლებიდან გატანილ იქნა საყოფასსოვრებო ნარჩენები 132 870,53 მ³, დაიგვა და დასუფთავდა 2367,4 ათ.მ² 365 დღის განმავლობაში - 864093,70 ათ. მ², მოირწყა/ჩაირეცხა ქალაქის 557,2 ათ.მ² (გაიხარჯა 1240 მ³ წყალი) – 2150 ათ. მ², დამონტაჟდა სიჩქარის შემზღლუდავი ბარიერები - 96,2 ძივი/მეტრი, გადაიბელა, სხვლა/ფორმირება ჩაუტარდა - 203 ძირ ხეს, მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 70 ძირი ხე, დამატებით ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავდა - 167 ძირი ხე, მიღებული საშეშე მერქნით დაკმაყოფილდა - 192 ბენეფიციარი, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე დაირგო - 205 ძირი ხე. უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოიყვანეს 1915 ძაღლი და 102 ლეკვი, გაშვილდა 203 ძაღლი და 85 ლეკვი, ევთანაზია გაუკეთდა 121 ძაღლს, ბუნებრივად გარდაიცვალა 13 ძაღლი, აგრა ჩაუტარდა 1818 ძაღლს, გაიშვა ბუნებრივ არეალში 1562 ძაღლი, გამოიყენეს 810 ცალი დასანიშნი საჭდეები, ჩაუტარდა სტერილიზაცია 732 და კასტრაცია 830 ძაღლს, ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა 473 ძაღლს, ოპერაციების რაოდენობაა 1562, დაკავდა და თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 139 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაიწმინდა სანიაღვრე არხი - 37037 მეტრი,

ამოიწმინდა სანიაღვრე ჭები და აღდგა ცხაურები - 2074 ცალი, გაითიბა ბალახისაგან - 712780 მ², შესრულდა სხვა დამატებითი სამუშაოები - 453 შეს. სამუშაო, დამონტაჟდა სანიაღვრე ჭები - 57 ცალი (აქედან, 16 გაუსწორდა გზის ნიშნულს). შეიწამლა ქვეწარმავლების დასაფრთხობად 30 355 მ² მიწის ფართობი, მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 52440 მ² და შეიწამლა სპეციალური რეაგენტებით 137 ძირი კოლხური ბზა.

ქალაქის გამწვანების, მოვლა - პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამისათვის დაიხარჯა 712,2 ათასი ლარი, გეგმა (760,0 ათასი ლარი) შესრულდა 93,7%-ით; ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა გაეწია ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მწვანე საფარს, მოეწყო ჭავჭავაძის გამზირზე სკვერი.

განათლების კუთხით დახარჯულმა თანხებმა 11104,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (11452,1 ათასი ლარი) 97%-ია. 2017 წელთან შედარებით (10988,6 ათასი ლარი) ხარჯები გაზრდილია 115,5 ათასი ლარით.

აიპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ 2018 წელს დაფინანსდა 9986,4 ათასი ლარით (გეგმა 10000,0 ათასი ლარი). ქვეპროგრამის ფარგლებში ბაღების გაერთიანებამ უზრუნველყო ქალაქში არსებული 37 ბაგა-ბაღის მოვლა-პატრონობა, დასაქმებული 1660 თანამშრომლის ხელფასით უზრუნველყოფა, ბაღებში რეგისტრირებული 9889 ბავშვის მოვლა და საკვებით უზრუნველყოფა. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან შემენილ იქნა: 10 ერთეული ბაღების გათბობის საქვაბე დანადგარი, კომპიუტერული ტექნიკა და საკრავი ინსტრუმენტი (პიანინო) ბაგა-ბაღების ფილიალებისათვის.

ქალაქ ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალური მშენებლობისათვის გეგმით გამოყოფილი 658,1 ათასი ლარიდან დაიხარჯა 324,6 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 24.10.2017 წლის №2466 განკარგულების საფუძველზე დასრულდა დავითაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევის №1-ში მდებარე №4 ბაგა - ბაღის ახალი კორპუსის მიშენება - **53.3** ათასი ლარი, წერეთლის ქუჩის №142-ში მდებარე №3 ბაგა - ბაღის ახალი კორპუსის მიშენება - **71.4** ათასი ლარი; სამუშაოები დასრულდა 2019 წლის დასწყისში, შესაბამისად ობიექტების მიღება-ჩაბარება და ანაზღაურება განხორციელდა 2019 წელს. ასევე, ქალაქ ქუთაისში ჩკალოვის ქუჩის N3-ში მდებარე N33 და ბუხაიძის ქუჩის N7ა-ში მდებარე N15 საბავშვო ბაღებზე ახალი კორპუსის მიშენების სამუშაოები იყო გარდამავალი და დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს.

განათლების ღონისძიებების ქვეპროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი 79,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 78,5 ათასი ლარი (99,4%). დედაენის დღესთან დაკავშირებით ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების მე-9-მე-11 კლასის მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობით ჩატარდა კონკურსი „ქართული ხელნაწერი“. სულ კონკურსში მონაწილეობდა 155 მონაწილე, აქედან, 55 მასწავლებელი. ბლოგების კონკურსში - „თავისუფალი თემა“ მონაწილეობდა 18 საჯარო და 4 კერძო სკოლა. გამოვლინდა გამარჯვებული ექვსი საჯარო სკოლის ბლოგი. პროექტ „ეტალონი“ (პირველ ტურში) ჩართული იყო 37 საჯარო და 9 კერძო სკოლა (მე-8-მე-11 კლასელები). ქუთაისელი ეტალონის (მეორე ტური) გამოსავლენ კონკურსში მონაწილეობდა პირველ ტურში გამარჯვებული 84 მონაწილე. საზაფხულო შემეცნებით ბანაკში „მცირე აკადემია“ მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლის 50-მა მოსწავლემ და 10-მა პედაგოგმა. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ქუთაისის საჯარო, კერძო სკოლებისა და ბაგა - ბაღის ფილიალების 95 პედაგოგი. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების დასკვნით ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეებისა და პედაგოგების დაჯილდოების ფარგლებში ფულადი ჯილდო გადაეცა 19 პირს. საერთაშორისო კონფერენციებზე, კონკურსებზე, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე გაემგზავრა 10-მდე მოსწავლე-სტუდენტი და პედაგოგი. განათლების ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი კონცერტი.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხარჯმა შეადგინა 714,6 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 715,0 ათასი ლარით (99,9%). საბიბლიოთეკო დოკუმენტების რაოდენობა შეადგენს - 1 087 753 (ერთი მილიონ ოთხმოცდახუთი ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი) ცალს (წიგნი და ჟურნალ/გაზეთი, ელექტრონული წიგნი და „CD“-ხმოვანი წიგნი). 2018 წელს შემოვიდა 2

659 ცალი ახალი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. აქედან: საჩუქრად – 430 ცალი წიგნი; ვაუჩერით შეძენილი – 33 ცალი წიგნი; ტენდერით შეძენილი – 1 694 ცალი წიგნი; პერიოდული გამოცემა გამოწერით – 509 ცალი ჟურნალ-გაზეთი. დეპოზიტარული-გაცვლითი ფონდიდან საჩუქრად გადაეცა ზესტაფონის რაიონის სოფელი როდინაულის საჯარო სკოლას – 210 ცალი წიგნი. ახალ (გაწვერდა) მკითხველთა რაოდენობა შეადგენს – 10 005; საბიბლიოთეკო დოკუმენტების გაცემის რაოდენობა – 149806, მ.შ. 109 623 ცალი წიგნი და 40 183 ჟ/გაზეთის კომპლექტი. ელექტრონულ კატალოგში სულ ფიქსირებულია 52 901 ჩანაწერი; 2018 წელს ციფრულ ფოტომატიანეში აიტვირთა 973 ცალი ფოტო; 2018 წელს გაციფრდა 166 ცალი წიგნი.

დასვენება, კულტურა და რელიგია 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 12546,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (12745,0 ათასი ლარი) 98,4%-ს შეადგენს **ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას“** 2018 წლის ბიუჯეტით გამოეყო 3540,9 ათასი ლარი, წლის მანძილზე ათვისებულ იქნა 99,1% - 3509,0 ათასი ლარი. მიღებული დაფინანსების შედეგად 2018 წელს განსაკუთრებული წარმატებით იასპარეხეს გაერთიანების სპორტსმენებმა როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ტურნირებზე. მათ მიერ დაფიქსირდა შედეგები: 1) მსოფლიო ჩემპიონატი და პირველობა I-8, II-3, III-7, სულ 18 მედალი. 2) ევროპის ჩემპიონატი და პირველობა I-14, II-17, III-11, სულ 42 მედალი. 3) მსოფლიო თასი I-1, III-1, სულ 2 მედალი. 4) ევროპის თასი I-1, სულ 1 მედალი. 5) საერთაშორისო ტურნირი I-98, II-99, III-137, სულ 334 მედალი. 6) საქართველოს თასი I-8, II-4, III-6, სულ 18 მედალი. 7) საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა I-96, II-83, III-119, სულ 298 მედალი. 8) საქართველოში ჩატარებული ტურნირები I-180, II-156, III-219, სულ 555 მედალი. 9) იმერეთის ჩემპიონატი I-22, II-13, III-18, სულ 53 მედალი.

სპორტული ღონისძიებების პროგრამა დაფინანსდა 848,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (899,5 ათასი ლარი) 94,4%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, თეიმურაზ აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში. ტურნირი გაიმართა 2001-2003, 2006-2008 წლებში დაბადებულთა შორის, ჩატარდა 2018 წლის 14-16 დეკემბერს. ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები და მოწვეული სტუმრები საზღვარგარეთიდან. საქალაქო ღონისძიებები შშმ სპორტსმენთა შორის (ფასიანი საჩუქრების შეძენა) (მკლავჭიდი, წოლმჭიმი, ნარდი), აღნიშნული ქვეკუნიტიდან ჩატარდა ორი ტურნირი, კერძოდ: „ქუთაისის ფესტივალი 2018 შშმ პირებს შორის“, რომელიც გაიმართა 21-22 ივლისს. მონაწილეობდნენ ადგილობრივი და რეგიონებიდან მოწვეული შშმ პირები. სულ 18 პირი. 27 ივლისს გაიმართა „გოჩა ქვარიანის ტურნირი შშმ პირთა შორის ნარდსა და შაშხში“. მასში მონაწილეობდა 25 პირი. კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, მონაწილეობდნენ ააიპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტსმენები. გაიმართა ალპინადა დაძწყებ და პროფესიონალ მთასვლელთათვის, ექსპედიციაში მონაწილეობდა 18 სპორტსმენი, მიმდინარეობდა 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით. ჩატარდა გელა დარსაძის სახელობის ტურნირი კალათბურთში, ტურნირში მონაწილეობდნენ ქუთაისის, თბილისის აკადემია, კლუბი „სოხუმი“ და თურქეთის „ტრაზონ სპორი“-ს 2004-2005 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრები გუნდები, ტურნირი ჩატარდა 2018 წლის 21 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით. სასკოლო სპორტული ოლიმპიადა მიმდინარეობდა 10 ოქტომბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით. მასში მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის საჯარო სკოლის მოსწავლეები, შეჯიბრებები გაიმართა სპორტის 8 სახეობაში. ოლიმპიური სისტემით. ჩატარდა ავტორალი პროფესიონალ და მოყვარულ მრბოლელთა მონაწილეობით, ტურნირი გაიმართა 14 ოქტომბერს, მასში მონაწილეობდა ადგილობრივი ავტომობილები სპორტული მოტოციკლებითა და სპ. ავტომობილებით. მოეწყო დავით ჩირაძის მემორიალი ჭადრაკში გოგონათა და ჭაბუკთა შორის (გუნდური პირველობა) მონაწილეობდა სპორტული სასწავლებლების, ორგანიზაციებისა და კლუბების 7;8;10 და 12 წლამდე გოგონები და ჭაბუკები, საპრიზო ფონდი 5 000 ლარი გაიცა ბრძანების საფუძველზე. ჩატარდა სასკოლო პირველობა წყალბურთში, ტურნირში მონაწილეობდა ქუთაისის 6 საჯარო სკოლის 60-მდე მოსწავლე. მოეწყო ქორქია-საკანდელიძის სახელობის თასის ტურნირი, ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქის 6 გუნდი, სულ 120

სპორტსმენი. ჩატარდა ზ.შეყრილაძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მ.დობტურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ტურნირში მონაწილეობდა 2005- 2006 და 2007-2009 წლებში დაბადებული სპორტსმენები, ასევე შეჯიბრებაზე მოწვეული იყვნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის რესპუბლიკის სპორტსმენები. ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის, აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივში. ტურნირი გაიმართა 7-დან 10 ივნისის ჩათვლით, მონაწილეობდნენ ადგილობრივი და საზღვარგარეთიდან მოწვეული გუნდები. გაიმართა სპორტული კვირეული - მასობრივი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში (მარათონი, ტურნირი მინი ფეხბურთში ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის) საპრიზო ფონდი 4 000 ლარიდან 1875 ლარი გაიცა ბრძანების საფუძველზე კახიანოურის, უქიმერიონისა და სულხან-საბას გუნდებზე. მოეწყო წლის წარმატებული სპორტსმენების საზეიმო მიღება, მონაწილეობდა ქუთაისის წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები სულ 100-110 ადამიანი.

შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“ დაფინანსდა 950,0 ათასი ლარით, ხარჯი შეადგენს გეგმის 100%-ს. საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“-მა ჩაატარა დატვირთული საკალათბურთო სეზონი, რომელიც მოიცავდა 4 უმთავრეს ჩემპიონატს, როგორებიცაა: მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი 2018, რომელიც ტრადიციულად ბოლო წლებია ქალაქ ქუთაისში ტარდება იანვარ-თებერვლის თვეში და საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“-მა ამ ჩემპიონატში მოიპოვა 1 საპრიზო ადგილი; საქართველოს თასის გათამაშება, რომელიც ჩატარდა 2018 წლის გაზაფხულზე და საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“-მა მოიპოვა 1 საპრიზო ადგილი; საქართველოს სუპერლიგის ჩემპიონატი 2017-2018, რომელიც დასრულდა 2018 წლის მაისის თვეში და საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“ გახდა მე-2 საპრიზო ადგილის მფლობელი; დუდუ დადიანის მემორიალი, რომელიც ჩატარდა 2018 წლის შემოდგომაზე და შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“ გამოეთიშა სატურნირო ცხრილს.

სპორტის სასახლე დაფინანსდა 34,3 ათასი ლარით. ააიპ „ქუთაისის ტაეკვონდოს სპორტული კლუბის“ ხარჯმა შეადგინა 2,0 ათასი ლარი.

ააიპ „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი ქუთაისი 2015-ის“ ხარჯმა შეადგინა 199,5 ათასი ლარი, გეგმა (200,0 ათასი ლარი) შესრულდა 99,8%-ით. კლუბში დასქმებულია 24 თანამშრომელი. მათ შორის, 6 საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია. კლუბმა საქართველოს 2017-2018 წლების ეროვნულ ჩემპიონატიზე დაიკავა მეორე ადგილი, 2018-2019 წლების მიმდინარე ჩემპიონატის სამი ტურის შედეგით იმყოფება მეორე ადგილზე.

სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია დაფინანსდა 1089,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (გეგმა 1155,5 ათასი ლარი) 94,3%-ია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე დასრულდა 14 სპორტული „ტრენაჟორის“ მოწყობა. განხორციელდა 232 ძელსკამის შექმნა-მონტაჟი საჯარო სივრცეებში. დასრულა 11 ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები. პირველად საქართველოში, ჩვენს ქალაქში მოეწყო ევრო სტანდარტებით აღჭურვილი სპეციალიზირებული სკეიტ-პარკი თაბუკაშვილის ქუჩის N2-ში - მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკის ტერიტორიაზე, დასრულებულია უკვე არსებული 22 სპორტული მოედნის და 4 „ტრენაჟორის“ რეაბილიტაცია.

ააიპ „საფეხბურთო კლუბი მართვე“ დაფინანსდა 115,0 ათასი ლარით(100%).

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“ დაფინანსდა 246,0 ათასი ლარით; გეგმა 246,0 ათასი ლარი (100%). სტადიონზე ჩატარდა სულ 18 თამაში. უეფას ეგიდით ჩატარდა 2 საერთაშორისო მატჩი.

ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებას“ 2018 წლის ბიუჯეტში გამოეყო 3685,9 ათასი ლარი, წლის მანძილზე ათვისებულ იქნა 100% - 3685,9 ათასი ლარი. გაერთიანების ფილიალების

აღსაზრდელები ყოველწლიურად ამაღლებენ შედეგებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებზე, 2018 წელს მათ მიიღეს მონაწილეობა: მ.ბალანჩივაძის მე-2 ეროვნულ კონკურსი, ი.ს. ბახის სახელობის ეროვნულ კონკურსში, კლასიკური მუსიკის მე-11 რესპუბლიკურ ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები“, კლასიკური მუსიკის მე-11 რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე ვარსკვლავი შენი“, თურქეთის მე-8 საერთაშორისო კონკურსში „ჰარმონია“, თ.ამირეჯიბის საერთაშორისო კონკურსში, თ.ახობაძის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში, საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა ეროვნულ კონკურსში, შოპენის სახელობის პიანისტთა ეროვნულ კონკურსში, ევგენი მიქელაძის სახელობის საორკესტრო საკრავებზე ახალგაზრდა შემსრულებელთა ეროვნულ კონკურსში, ო.თაქთაქიშვილის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსში, მოცარტის სახელობის მე-2 საერთაშორისო კონკურსში, VII საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „ბორჯომი“, ბათუმის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში „BATUMI MUSIC FEST“.

მოსწავლეების მიერ 2018 წელს სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში მოპოვებული იქნა 11 გრანპრი, 34 პირველი ადგილი, 29 მეორე ადგილი, 11 მესამე ადგილი, 18 ლაურეატის წოდება, 62 სპეც. პრიზი.

კულტურის ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული 964,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 936,5 ათასი ლარი (97,1%). ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 10 კონცერტი და საიუბილეო საღამო, 47 მხარდაჭერილი ღონისძიება (დარბაზის იჯარით, გახმოვანების აპარატურით, კვებითი მომსახურებით, ტრანსპორტითა და პოლიგრაფიული ნაწარმის ბეჭდვით), 10 გამოფენა, 1 კინოკვირეული, 1 კინოფორუმი, 1 თეატრალური კვირეული, 2 კონკურსი, 2 ფესტივალი, 1 თეატრალური ფესტივალი, 2 ფოტო გამოფენა. დაფინანსდა 3 ჟურნალის, 5 წიგნის, 1 კლიპის პრეზენტაცია, 1 გაზეთის გამოცემა წლის განმავლობაში. აღინიშნა 4 მასშტაბური ღონისძიება სხვადასხვა აქტივობებით (ორმაისობა, საახალწლო ღონისძიებები, დავითობის დღესასწაული, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვ.) დაფინანსდა რადიოგადაცემათა ციკლი, საქართველოს დამსახურებული არტისტებისა და ქურუმების სტიპენდია გადაეცა 9 ადამიანს (ყოველთვიურად წლის განმავლობაში), გაიცა 5 იუბილარი მხატვრისა და 16 იუბილარი მსახიობის ჯილდო (წელიწადში ერთხელ). ასევე ბრძანების სახით გამოეყო თანხა და ჯილდო 5 ადამიანს, 1 ქორეოგრაფიულ ანსამბლს და 1 თეატრალურ დასს. მხარდაჭერის ფარგლებში გამოეყო თანხა ქუთაისის 3 თეატრს, ქუთაის – გაენათის ეპარქიას და ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს.

აიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 840,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი - 840,0 ათასი ლარი). ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო 27 ადგილობრივ და საერთაშორისო შემდეგ ღონისძიებებში: საქართველოს დროშის პატივგება (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი), სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი (სტუმრები შვეიცარიიდან), „დავითობა“, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი (ლ. მესხიშვილის სახ. დრამატული თეატრი), ევროპის ჩემპიონატი რაგბში. სახელმწიფო ანსამბლის შეხვედრა რაგბისტებთან. ესტონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი ბათუმის ხელოვნების ცენტრი). ბავშვთა და ახალგაზრდა შემსრულებელთა ფოლკლორის ფესტივალი (ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, ბათუმის ხელოვნების ცენტრი), სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი (3 მასი, თურქეთი, ქალაქი სიდე) ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედის“ ბავშვთა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე, ქორეოგრაფ კოტე დოლაბერიძის საიუბილეო საღამო - საქართველოს საზოგადოებრივი არხი, ჩაწერა გადაცემისთვის „აკუსტიკა“ (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი), „გვირილობა“ (ქუთაისის ცენტრალური ბაღი), ქალაქური მუსიკის კონცერტი (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი თბილისი, დიდი საკონცერტო დარბაზი) ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ მონაწილეობა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტში - ფოლკლორის ცენტრი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი (დელეგაცია შვეიცარიიდან და კანადიდან)

- ფოლკლორის ცენტრი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (სტუმრები: ოქსფორდის მაგალობელთა იესოს კოლეჯის სამლოცველო გუნდი - ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, შეხვედრა მედიცინის დამსახურებულ მუშაკებთან (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი), ფოლკლორის ცენტრი. ფლამენგოს ცეკვის მასტერკლასები ხენარო რეტეგასგან - ბათუმი (ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორია), „ფოლკლორის დღეები-2018“, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი „ფესტივალი აღმოაჩინე აბრეშუმის გზის ვარსკვლავი“ (ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი), ფოლკლორის ცენტრი. (სტუმარი დიდი ბრიტანეთიდან). სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი; შვეიცარია (ქალაქი ბერნი. ქალაქი პული), სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტები მიმდინილი საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი (ფოლკლორის ცენტრი) . სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (frindshif force-s წარმომადგენლები აშშ-დან და კანადიდან), ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდის მონაწილეობა ქუთაისთან დამოზილებულ ქალაქ ტარტუს გუნდის „ტარბატუს“ კონცერტში (ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი). სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდის მონაწილეობა ქალაქ ამსტერდამის ქართული სიმღერების შემსრულებელი გუნდი „მერანის“ კონცერტში (ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი), ზავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედი“-ს მონაწილეობა ჯორჯ ბალანჩინის მე-2 საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალში(უკრაინა), ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საახალწლო კონცერტები „ქართული შობა“(ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი) ფონდი „მადლიერება“ -ს საანგარიშო კონცერტი (მონაწილე- ფოლკლორის ცენტრის ზავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“. დავით აღმაშენებლის მოედანი). საახალწლო მილოცვა (სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდი).

ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებები დაფინანსდა 73%-ით (გეგმა - 98,5 ათასი ლარი; ხარჯი 76,8 ათასი ლარი) ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან განხორციელდა შემდეგი პროექტები: „მეწარმე მოსწავლეები“ ავტორი: ააიპ „საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია“. მიზანი: ახალგაზრდების მეწარმეობით დაინტერესება და სამეწარმეო უნარ-ჩვევების ხელშეწყობა. მასში მონაწილეობას მიიღებს 50 მდე ახალგაზრდა; პროექტი „ახალგაზრდული საკრებულო“ ავტორი: სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“, მიზანი: აქტიური ახალგაზრდების ჩართულობა საკრებულოს მუშაობაში, საკრებულოს ფუნქციონირების პრინციპების გაცნობა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება. პროექტში ჩართული იყო 25 ახალგაზრდა, რომელიც აქტიურად ჩაერთვება მერიის მიერ ორგანიზებულ 10 პროექტში; პროექტი „ქუთაისი კულტურისა და განათლების ქალაქი“ ავტორი: აიიპ „ანასელი“, დირექტორი ანა ბაქანიძე, პროექტის იდეა მდგომარეობს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისისში გაზეთებიდან ამოკრებილი მასალების შეკრულ წიგნად გამოცემაში, პროექტი „ეს არ არის ჩემი არჩევანი“, ავტორი: საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision International“ ფილიალი საქართველოში, იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამა -პროექტი ეხება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ზავშვების პრობლემების გაშუქებას და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას; პროექტი „გაეროს მოდელირება“ ჩატარდა 2018 წლის აპრილის თვეში და მასში მონაწილეობა მიიღო როგორც საქართველოს, ასევე დამოზილებილი ქვეყნების 30-მდე ახალგაზრდამ. ახალგაზრდა ლიდერთა საზოგადოებო სკოლა 2018 წელს მონაწილეობდა ქუთაისელი 18 - დან 26 წლამდე 85 ახალგაზრდა. ახალგაზრდა ლიდერთა ზამთრის სკოლა 2018 წელს მონაწილეობდა ქუთაისელი 18-დან 26 წლამდე 85 ახალგაზრდა. „ახალგაზრდული ინიციატივების“ ფარგლებში სულ შემოვიდა 20-მდე განაცხადი. კომისია ყოველი თვის ბოლოს იკრიბება შემოსული პროექტების განსახილველად და შესავასებლად. ამ ეტაპზე გამარჯვებულია 4 პროექტი, რომელთა ავტორებიც შემოვიდნენ 20%-იანი დაფინანსებით და შესაბამისად, მათთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ 3738,1 ლარი შეადგინა, გეგმა (3935,4 ათასი ლარი) შესრულდა 95%-ით.

2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 26 დეკემბრის საკრებულოს N74 დადგენილებით. 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 8 ცვლილება და საბოლოოდ დაზუსტდა 74295,9 ათასი ლარით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის ფაქტობრივმა შემოსავალმა (ნაშთის/ფინანსური აქტივის გამოკლებით) 49893,7 ათასი ლარი შეადგინა,

ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები წარმოდგენილია ბალანსის სახით:

ბიუჯეტის შემოსულობები

2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 9 თვის ფაქტიური შესრულება შეადგენს 57786,7 ათას ლარს (98,6%), მათ შორის: შემოსავლების კუთხით ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 47737,0 ათასი ლარი შეადგინა; არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 2156,7 ათასი ლარი; ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 7893,0 ათას ლარს

სახეების მიხედვით შემოსავლები შემდეგნაირად განაწილდა:

1. გადასახადები

ქალაქ ქუთაისის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადებიდან 9 თვეში შემოვიდა 33484,2 ათასი ლარი, აქედან დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 25231,8 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 8252,4 ათასი ლარი ქონების გადასახადია.

2. გრანტები

2019 წლის 6 თვეში გრანტების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 7752,6 ათასი ლარი, მათ შორის:

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 26,7 ათასი ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი - 281,5 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 7444,4 ათასი ლარი.

3. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა შესრულებამ 9 თვეში 6500,1 ათასი ლარი შეადგინა

დივიდენდიდან ბიუჯეტში მობილიზებულია 30,7 ათასი ლარი, გეგმ შესრულდა 56,8%-ით.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში მობილიზებულია 85,0 ათასი ლარი, გეგმა (120,0 ათასი ლარი) შესრულდა 70,8%-ით.

შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, ფაქტობრივად მიღებულია 69,3 ათასი ლარი, გეგმა (60 ათასი ლარი) შესრულდა 115,5%-ით.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან შემოსულია 4,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 84,2 %-ს შეადგენს.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ფაქტობრივი შესრულება – 1263,4 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 1500,0 ათასი ლარით (84,2%).

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა განისაზღვრა 1500,0 ათასი ლარით, ფაქტობრივი შესრულება – 1559,0 ათასი ლარი (103,9%).

სანებართვო მოსაკრებლებიდან 9 თვეში ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 72,4 ათასი ლარი, გეგმა (75,0 ათასი ლარი) შესრულდა 96,5%-ით.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება ბიუჯეტში შემოსულია 242,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (300,0 ათასი ლარი) 80,8%-ია.

ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2262,2 ათასი ლარი, გეგმა (2285,0 ათასი ლარი) შესრულდა 99%-ით.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების შესრულებაა - 913,3 ათასი ლარი, გეგმა შეადგენს 940,0 ათას ლარს (97,2%).

არაფინანსური აქტივების კლება

2019 წლის 9 თვის მანძილზე არაფინანსური აქტივების კლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 2156,7 ათასი ლარი, აქედან 1885,5 ათასი ლარი წარმოადგენს მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და 271,2 ათასი ლარი ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალია.

დასახელება	9 თვის გეგმა	ფაქტიური შესრულება	%
არაფინანსური აქტივები	2,700.0	2,156.7	79.9
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	700.0	271.2	38.7
შემოსულობა არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან	2,000.0	1,885.5	94.3

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 7,893.0 ათას ლარს, აქედან 6 თვის ხარჯებისა და შემოსავლების ფაქტიური შესრულების დაბალანსებისათვის გამოყენებულია 1848,1 ათასი ლარი, ხოლო გეგმისთვის - 3408,4 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელები

2019 წლის 9 თვეში, ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 51342,3 ათასი ლარი.

2019 წლის 9 თვის გადასახდელების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2019 წელი			
	დამტკიცებული გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის საკასო ხარჯი	%
გადასახდელები	74,295.9	54,095.0	51,342.3	94.9
ხარჯები	52,586.0	39,810.0	38,308.3	96.2
შრომის ანაზღაურება	24,366.3	17,900.0	17,879.1	99.9
საქონელი და მომსახურება	16,369.7	12,500.0	11,699.2	93.6
პროცენტი	412.0	300.0	297.7	99.2
სუბსიდიები	2,450.3	1,900.0	1,852.5	97.5
გრანტები	217.0	200.0	196.8	98.4
სოციალური უზრუნველყოფა	3,870.7	2,800.0	2,681.8	95.8
სხვა ხარჯები	4,900.0	4210.0	3701.3	87.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	21,291.1	14,025.0	12,777.6	91.1
ვალდებულებების კლება	418.8	260.0	256.4	98.6

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების 9 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 5003,5 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 5022,0 ათასი ლარი, დაფინანსება განხორციელდა 99,6%-ით.

სარეზერვო ფონდიდან, 9 თვეში მოქალაქეთა მატერიალური დახმარებისათვის დახარჯულია 459,9 ათასი ლარი. 2018 წლის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით N59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის N100 საარჩევნო უბნის განსათავსებელი ფართისათვის საიჯარო თანხის დასაფარად გადარიცხულია 0,9 ათასი ლარი. 2018 წლის 24 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას N12-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ბინის საიჯარო ქირის ანაზღაურებისათვის - 9,7 ათასი ლარი; გუგუნავას ქუჩის N12-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად - 63,8 ათასი ლარი; თეთრ ხიდზე დაზიანებული მინის ფრაგმენტის შეცვლისათვის გადაირიცხა 5,2 ათასი ლარი; მოჭადრაკეებისათვის ჯილდოს სახით

გადაირიცხა 4,0 ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N40გ-ში არსებული სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების ელ.ენერჯის დავალიანების თანადაფინანსების და მიზნით გადაირიცხა 9,5 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის 9 თვის საკასო შესრულება შეადგენს 17142,9 ათას ლარს. გეგმა 9 თვეში განისაზღვრა 19306,3 ათასი ლარით (88,89%).

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 10659,7 ათასი ლარით, გეგმა 12616,9 ათასი ლარი შესრულდა 84,5%-ით.

გარე განათების პროგრამის საკასო შესრულებამ 2568,4 ათასი ლარი შეადგინა.(99,9%)

მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია დაფინანსდა 537,6 ათასი ლარით, გეგმა - 554,0 ათ ლარი შესრულდა 97%-ით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის საკასო შესრულება შეადგენს 1323,2 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 1420,0 ათასი ლარით(93.2%).

ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამა დაფინანსდა 91,5%-ით, გეგმა შეადგენს 635,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 580,7 ათას ლარს.

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების პროგრამა დაფინანსდა 601.5 ათასი ლარით. გეგმა შეადგენს 610.0 ათას ლარს. დაფინანსება განხორციელდა 98.6%-ით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა დაფინანსდა 189,8 ათასი ლარით. გეგმა შეადგენს 200,0 ათას ლარს. დაფინანსება განხორციელდა 94,9%-ით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისათვის დაიხარჯა 681,6 ათასი ლარი. გეგმა (700.0 ათასი ლარი) შესრულდა 97,4%-ით.

დასუფთავება და გარემოს დაცვის გეგმა 4570,7 ათასი ლარი შესრულდა 4483,9 ათასი ლარით (98.1%).

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსდა 99,9%-ით, 3530,81 ათასი ლარით.

მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობის, განვითარების პროგრამის ხარჯმა შეადგინა 953,2 ათასი ლარი. გეგმა 1035,70 ათასი ლარი შესრულდა 92%-ით.

უპატრონო ცხოველების ოპერირება დაფინანსდა 99,2-ით, 254,2 ათასი ლარით. გეგმა განისაზღვრა 255,7 ათასი ლარით.

განათლების სფეროდან სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხარჯები დაფინანსდა 8002,5 ათასი ლარით, გეგმა შეადგენს 8005,0 ათას ლარს (100%). განათლების ღონისძიებები დაფინანსდა 76,5 ათასი ლარით, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდა 882,2 ათასი ლარით.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი დაფინანსდა 10371,5 ათასი ლარით. გეგმა (10526,8 ათასი ლარი) შესრულდა 98.5%-ით.

სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 5146,8 ათასი ლარი შესრულდა 97.4%-ით, გაწეული ხარჯი შეადგენს 5013,2 ათას ლარს. აქედან, სპორტის ღონისძიებების ხარჯი შეადგენს – 822,8 ათას ლარს.

კულტურის განვითარების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 5270,0 ათასი ლარი შესრულდა 99.7%-ით, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 5253,1 ათას ლარს. მათ შორის: კულტურის ღონისძიებების დაფინანსების საკასო შესრულება – 765,0 ათასი ლარია.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის 9 თვეში ბიუჯეტიდან დახარჯულია 105,2 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯებმა 9 თვეში შეადგინა 3062,8 ათასი ლარი. გეგმა 3108,7 ათასი ლარი, შესრულდა 98,5%-ით.

ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები შეადგენს 892,1 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 901,0 ათასი ლარით, დაფინანსება განხორციელდა 99%-ით.

სოციალური პროგრამები დაფინანსდა 2170,7 ათასი ლარით, გეგმა (2207,7 ათასი ლარი) შესრულდა 98,3%-ით.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსდა 96,4%-ით (გეგმა 635,0 ათასი ლარი; საკასო ხარჯი 612,4 ათასი ლარი).

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

მუხლი 13. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები

1. ინფრასტრუქტურა (პროგრამული კოდი 02 00) ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ, აღნიშნული მიმართულება ქალაქის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური, ააიპ „ქუთაგანათება“
2.	პროგრამის ბიუჯეტი	3,215.7

3.	პროგრამის აღწერა	<p>მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ბევრი კორპუსის ეზო საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს, ტრანსპორტით თუ ფეხით, ეზომდე მისასვლელად მაინც მოუწესრიგებელი ტერიტორიის გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ქალაქის სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალეული არხები და ბუნებრივი სასულები, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციო ნიაღვარმიმღები ობიექტები.</p>								
4.	პროგრამის მიზანი	<p>მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა</p>								
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო</p>								
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	<table border="1"> <thead> <tr> <th data-bbox="506 900 859 995">ინდიკატორის დასახელება</th> <th data-bbox="859 900 1034 995">საბაზისო მაჩვენებელი</th> <th data-bbox="1034 900 1208 995">მიზნობრივი მაჩვენებელი</th> <th data-bbox="1208 900 1534 995">შესაძლო რისკები</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="506 995 859 1089"></td> <td data-bbox="859 995 1034 1089"></td> <td data-bbox="1034 995 1208 1089"></td> <td data-bbox="1208 995 1534 1089"></td> </tr> </tbody> </table>	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები				
ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები							

ა.ა) ქვეპროგრამა: გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<p>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური</p>									
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	<p>1,965.7</p>									
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში, პრიორიტეტულობის შესაბამისად, განხორციელდება შიდასაქალაქო საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც თავის მხრივ გულისხმობს, გზების, ტროტუარებისა და ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციას.</p>									
4.	ქვეპროგრამის მიზანი	<p>გზის კაპიტალური მშენებლობა</p>									
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	<table border="1"> <tr> <td data-bbox="506 1604 1034 1698">მამია ასათიანის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია</td> <td data-bbox="1034 1604 1208 1698"></td> <td data-bbox="1208 1604 1534 1698">450.0</td> </tr> <tr> <td data-bbox="506 1698 1034 1793">მარჯანიშვილის ქუჩაზე .გზის რეაბილიტაცია</td> <td data-bbox="1034 1698 1208 1793"></td> <td data-bbox="1208 1698 1534 1793">130.0</td> </tr> <tr> <td data-bbox="506 1793 1034 1894">ასლანიკაშვილის ქუჩისა და ასლანიკაშვილის პირველი შესახვევის გზის რეაბილიტაცია</td> <td data-bbox="1034 1793 1208 1894"></td> <td data-bbox="1208 1793 1534 1894">35.0</td> </tr> </table>	მამია ასათიანის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია		450.0	მარჯანიშვილის ქუჩაზე .გზის რეაბილიტაცია		130.0	ასლანიკაშვილის ქუჩისა და ასლანიკაშვილის პირველი შესახვევის გზის რეაბილიტაცია		35.0
მამია ასათიანის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია		450.0									
მარჯანიშვილის ქუჩაზე .გზის რეაბილიტაცია		130.0									
ასლანიკაშვილის ქუჩისა და ასლანიკაშვილის პირველი შესახვევის გზის რეაბილიტაცია		35.0									

		ჩანჩიბაძის ქუჩის მესამე ჩიხში გზის რეაბილიტაცია			60.0
		კ. გამსახურდიას პირველი ჩიხში გზის რეაბილიტაცია			50.0
		ნინოშვილის მეექვსე ჩიხში გზის რეაბილიტაცია			45.0
		დეპოს პირველ ჩიხში გზის რეაბილიტაცია			40.0
		დეპოს მესამე ჩიხში გზის რეაბილიტაცია			40.0
		კლდიაშვილის პირველ ჩიხი გზის რეაბილიტაცია			60.0
		ზ. გამსახურდიას მეორე ჩიხი გზის რეაბილიტაცია			45.0
		კ. გამსახურდიას მეექვსე შესახვევის გზის რეაბილიტაცია			120.0
		26 მაისის ქუჩის პირველი ჩიხის გზის რეაბილიტაცია			50.0
		შანიძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია			290.7
		რგგ-ს თანადაფინანსება			550.0
		დასაბრუნებელი 2.5%			0.0
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კაპიტალურად შეკეთებული გზები, რომელებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს და ამ გზებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები

	კაპიტალურად შეკეთებული გზები	120000 კვ.მ.	143000 კვ.მ.	კლიმატური პირობები, კონტრაქტორის მიერ, არაკეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაო, ახალი გარემოებები, რომელიც პროექტით არ არის გათვალისწინებული
--	------------------------------	--------------	--------------	--

ა.ბ) ქვეპროგრამა: გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	800.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქის მასშტაბით ქუჩების გარკვეული ნაწილი საჭიროებს მიმდინარე ორმოულ შეკეთებას, რათა გახანგრძლივდეს მათი ექსპლოატაციისა და გამოყენების ვადები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გზების მიმდინარე შეკეთება.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	გზის მიმდინარე შეკეთება, რომლითაც შენარჩუნდება უსაფრთხოება და კომფორტი			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ასფალტო - ბეტონითა და ბეტონით ორმოული შეკეთება	700.0		
		გრანიტისა და დაწნეხილი დეკორატიული ფილებით მიმდინარე შეკეთება	100.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ორმოულად შეკეთებული გზები, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ორმოულად შეკეთებული გზები	45000 კვ.მ.	73000 კვ.მ.	კლიმატური პირობები, კონტრაქტორის მიერ, არაკეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაო, ახალი გარემოებები, რომელიც პროექტით არ არის გათვალისწინებული

ა.გ) ქვეპროგრამა: სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-შენიშვნა (პროგრამული კოდი 02 01 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური
----	--------------------------------	--

2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	300.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	სანიაღვრე ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ პრობლემატურ ნაწილს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება როგორც მიმდინარე საექსპლოატაციო, ასევე, სარეაბილიტაციო და კაპიტალური სამუშაოები.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებით ნალექების გამტარუნარიანობის ზრდა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ოდსკურას კალაპოტის მშენებლობა (ჰუალინგის წინ)		255.0	
		ბუნებრივი სასულებების ექსპლოატაცია		45.0	
		დასაბრუნებელი 2,5%		0.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებული და კაპიტალურად შეკეთებული სანიაღვრე სისტემა			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	მიზნობრივი მაჩვენებელი	საბაზისო მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		კაპიტალურად მოწყობილი სანიაღვრე	2200 გრ.მ.	3700 გრ.მ.	
		ექსპლოატირებული სასულებების რაოდენობა	21	26	

ა.დ) ქვეპროგრამა: საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 04)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქუთაისის სერვისი“		
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	150.0		
3.	ქვეპროგრამის აღწერა	საგზაო ტრანსპორტის მოწესრიგებული მოძრაობისათვის და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია მოხდეს საგზაო ნიშნების, შუქნიშნების და ქვეითთა გადასასვლელების მოწესრიგება/რეაბილიტაცია, ასევე სიჩქარის შემზღვეველი ბორცვების მოწყობა		
4.	ქვეპროგრამის მიზანი	საგზაო მოძრაობის მოწესრიგებული ფუნქციონირება		
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების ექსპლუატაცია		90.0
		ელექტრო ენერჯის ხარჯი		10.0
		სიჩქარის შემზღვეველი ბორცვების მოწყობა		50.0

6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწესრიგებული და უსაფრთხო საგზაო მოძრაობა			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	მიზნობრივი მაჩვენებელი	საბაზისო მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ექსპლუატაცია გაწეული შუქნიშნები	30	30	
		ექსპლუატაცია გაწეული საგზაო ნიშნები	100	100	
		დაგებული სიჩქარის შემზღვეველი ბორცვების რაოდენობა	70	10	

ბ) პროგრამა: გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქუთაისის სერვისი“			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	3,250.0			
3.	პროგრამის აღწერა	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების) უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით, გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დასახლებული ტერიტორიის 100%-ზე.			
4.	პროგრამის მიზანი	გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება			
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის გადაადგილებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო			
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		განათებული დასახლებული ტერიტორიის მოცულობა	100%	100%	

ბ.ა) ქვეპროგრამა: გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქუთაისის სერვისი“			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2,965.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, ახალი ლედ ტიპის ეკონომიური სანათებისა და უბნებზე ჯიპიების დაყენებით ელექტრო ენერჯის ხარჯის შემცირება.			

4.	ქვეპროგრამის მიზანი	გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, დახარჯული ელექტროენერგიის შემცირება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ადმინისტრაციის ხარჯი	680.0		
		სანათი წერტილების ექსპლუატაცია	575.0		
		ელექტრო ენერჯის ხარჯი	1,710.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამართულად ფუნქციონირებადი გარე განათების ქსელი, დროულად აღმოფხვრილი პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	მიზნობრივი მაჩვენებელი	საბაზისო მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		გარე განათების წერტილების რაოდენობა	16300	16400	მოსახლეობის მომართვიანობა, ავარიული სიტუაციები, ელ. ენერჯის ცვალებადობა
		შეკეთებული სანათების რაოდენობა	3000	1000	
		არსებული სანათების ახალი დიოდური სანათებით ჩანაცვლება	9900	10000	
		შეკეთებული და გამოცვლილი ბოძების რაოდენობა	50	50	
		შეკეთებული სადენების რაოდენობა	4000 მ	3000 მ	

ბ.ბ) ქვეპროგრამა: კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში (პროგრამული კოდი 02 03 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქუთაისის განათების სერვისი“		
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	285.0		
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქლაქის გარე განათების სრულყოფისათვის აუცილებელია ახალი სანათი წერტილების მოწყობა, ასევე აუცილებელია გარკვეული სპეცტექნიკის შეძენა		
4.	ქვეპროგრამის მიზანი	განათებული ტერიტორიის ფართობის ზრდა, გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება		
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	საახალწლო აქსესდუარებისა და დეკორაციების შეძენა	200.0	
		შენობის გადახურვის მოწყობა და სხვა კაპიტალური სამუშაოების ორგანიზება	85.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გამართულად ფუნქციონირებადი გარე განათების ქსელი		

	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	საბაზისო მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
7. შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ახალი სანატი წერტილების რაოდენობა	100	100	
	შემენილი სპეცტეენიკის რაოდენობა	1	1	

გ) პროგრამა: მშენებლობა, აგარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

1. პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულები – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურები			
2. პროგრამის ბიუჯეტი	1,720.0			
3. პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური სერვისების მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობას, მათთან მარტივ კომუნიკაციას, ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ამჟამად, აღრიცხვაზე მრავალი აგარიული საცხოვრებელი სახლი, რომლებსაც ესაჭიროება გადახურვა.			
4. პროგრამის მიზანი	სერვისების ხელმისაწვდომობა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება			
5. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობისათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემო			
6. საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
	რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა			

გ.ა) ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების აგარიული სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 01)

1. ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური			
2. ქვეპროგრამის ბიუჯეტი	320.0			
3. ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში, მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ დაზიანებული სახურავის მქონე ინდივიდუალურ სახლებში, რის გამოც, ცხოვრება გაუსაძლისია. განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ ისეთ ოჯახებს, რომელთა სოციალური სტატუსის დამადასტურებელი სარეიტინგო ქულა 65000 და ნაკლებია. მწირი შემოსავლების გამო, მათ ფაქტობრივად, არ აქვთ საშუალება მცირედით მაინც გაიმჯობესონ საცხოვრებელი გარემო. მათ რიგებში მრავლად არიან მარტოხელა მოხუცი პენსიონერები, რომლებიც აღნიშნული კუთხით საჭიროებენ აუცილებელ და გადაუდებელ დახმარებას. ზემოთ მითითებული ღონისძიებების განხორციელების რიგითობა და მისამართები განისაზღვრება სპეციალური კომისიის მიერ, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლის შესაბამისად.			

4.	ქვეპროგრამის მიზანი	საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციო ვადის გაზრდა; მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახლების სახურავების რეაბილიტაცია	320.0		
		დასაბრუნებელი 2.5%	0.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების სახლები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		რეაბილიტირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების სახლების რაოდენობა	193	219	მომართვიანობა

გ.ბ) საყრდენი კედლების მშენებლობა - რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 04 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	400.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საყრდენი კედლების მშენებლობა			
4.	პროგრამის მიზანი	სტიქიური მოვლენების პრევენცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სოლომონ მეორეს #67-თან საყრდენი კედლის მოწყობა		70.0	
		კიკვიძის ქუჩის მეორე ჩიხი #19-თან საყრდენი კედლის მოწყობა		58.1	
		პეტრიწის ქუჩის #14-სა და #20-ს შორის საყრდენი კედლების მშენებლობა		60.0	
		გაფრინდაშვილის ქუჩის N8-სთან საყრდენი კედელი		118.9	
		მწვანე ყვავილას N73-თან საყრდენი კედელი		93.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალური და კერძო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები

	მოწყობილი საყრდენი კედლების რაოდენობა	3	8	N/A
--	---------------------------------------	---	---	-----

გ.გ) ქვეპროგრამა: ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა - რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 02 04 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1,000.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ავტობუსების პარკის მშენებლობა, აგრეთვე, ადმინისტრაციული შენობების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭიროა მიმდინარე შეკეთება.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	3 ერთეული ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა	450.0		
		სხვა ადმინისტრაციული კაპიტალური რემონტი	450.0		
		12 ადმინისტრაციულ ერთეულში ბანერიანი საათების მოწყობა	100.0		
		დასაბრუნებელი 2.5%	0.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელმისაწვდომი მუნიციპალური სერვისები, ეფექტურად განხორციელებული მუნიციპალური სერვისები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	საბაზისო მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ადმინისტრაციულ ერთეულებში, გამართული ინფრასტრუქტურის მქონე ადმინისტრაციული შენობები	8	12	

დ) პროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური		
2.	პროგრამის ბიუჯეტი	465.0		
3.	პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით მუნიციპალიტეტი აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად		

		გაუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის.			
4.	პროგრამის მიზანი	გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ამხანაგობების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში			
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო			
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა			მომართვიანობა

დ.ა) ქვეპროგრამა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა (პროგრამული კოდი 02 05 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	100.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია მოეწყოს ატრაქციონები, ძელსკამები, მცირე მოცულობის დეკორატიული ურნები, დასასვენებელი ფანჯატურები, მარტივი ტიპის სტაციონარული ტრენაჟორები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიმდებარე თავისუფალ ტერიტორიაზე, ადამიანებისათვის გამაჯანსაღებელი გარემოს შესაქმნელად, რაც განხორციელდება თანადაფინანსების პრინციპით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანამონაწილეობით ურბანული ფურნიტურით ეზოების მოწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ძელსკამების შექმნა - მონტაჟი ამხანაგობებისათვის	55.0		
		ატრაქციონების შექმნა - მონტაჟი ამხანაგობებისათვის	30.0		
		დასასვენებელად განკუთვნილი ფანჯატურის მოწყობა ამხანაგობებისათვის	15.0		
		დასაბრუნებელი 2.5%	0.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანამონაწილეობით ურბანული ფურნიტურით მოწყობილი ეზოები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანამონაწილეობით ურბანული ფურნიტურით	355	441	

		მოწყობილი ეზოების რაოდენობა			
--	--	-----------------------------	--	--	--

დ.ბ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 05 04)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	100.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქში არსებული სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებლად მოვლა – პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების გამო, ნალექით სველდება მთლიანი ფასადები, რაც იწვევს ნალესის ჩამოშლას და სახლები ავარიული ხდება. ზემოთ მითითებული ღონისძიებების განხორციელების რიგითობა და მისამართები დამოკიდებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აქტიურობაზე			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ექსპლოატაციის ვადის ზრდა, საცხოვრებლად უსაფრთხო გარემოს შექმნა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია	100.0		
		დასაბრუნებელი 2.5%	0.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კორპუსებში პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების მდგომარეობის მოწესრიგება და საცხოვრებლად შექმნილი უსაფრთხო გარემო			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		რეაბილიტირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა			მომართვიანობა

		ახალგაზრდა ლიდერთა საზაფხულო სკოლა	22.5		
		ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	95.0		
		სოციალურად დაუცველი და შშმ ახალგაზრდების დახმარება და საზოგადოებაში ინტეგრაცია	5.0		
		გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	25.0		
		საერთაშორისო პროექტებში, კონკურსებსა და ფესტივალებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობა	5.0		
		იუმორისტული ახალგაზრდული ღონისძიება	20.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წარმატებულად განხორციელებული ახალგაზრდული პროექტები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი 06 00): მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე, მნიშვნელოვანია ქალაქში რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრისის შექმნა და ამ მხრივ სოციალური ფონის გაუმჯობესება.

ა) პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1,240.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, მათში ყველაზე გავრცელებული დაავადებების დროულად გამოსავლენად, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა.			
4.	პროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა ბენეფიციარებისათვის			
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა			

ა.ა) ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა (პროგრამული კოდი 06 01 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	210.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქუთაისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „c“ ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, საშიშ დაავადებათა პრევენცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა	210.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება			
7.	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		გადამდებ დაავადებათა შემთხვევების რაოდენობა	3590	2500	დაავადებათა ახალი შტამების გაჩენა
		ჩატარებული აცრების რაოდენობა			

ა.ბ) ქვეპროგრამა: მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	200.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 65000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს, ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირები. აღნიშნული პროგრამით არ დაფინანსდება ის მედიკამენტები, რომელიც გათვალისწინებულია "ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 65 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე და ნათესაურ/ არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ პირებისათვის დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით. ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები			

		<p>დახმარებით ისარგებლებენ ყოველთვიურად და დახმარების მოცულობა განისაზღვრება 100 ლარის ოდენობით. ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს, დახმარებით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და დახმარების მოცულობა განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირი. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიცემა საგარანტიო წერილის საშუალებით. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მოკვლევის საფუძველზე, დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. ბენეფიციარი, დახმარების მიღების მიზნით, განცხადებასთან ერთად წარმოადგენს საჭირო დოკუმენტაციას. ა) სოციალურად დაუცველები (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) პირი წარმოადგენს: პირადობის მოწმობის ასლი, ფორმა-100-ს სამედიცინო დაწესებულებიდან, ანგარიშ-ფაქტურას აფთიაქიდან და სოციალური მომსახურების სააგენტოდან - ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. ბ) ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვების შემთხვევაში, დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანთა რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, შშმ ბავშვის მინდობით აღზრდაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფორმა 100 -სამედიცინო დაწესებულებიდან და ანგარიშფაქტურა აფთიაქიდან. გ) ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანებზე, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს, დახმარება გაიცემა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მომართვის საფუძველზე, შემდეგი თანდართული დოკუმენტაციის შემთხვევაში: პაციენტის პირადობის მოწმობის ასლი, შშმ-ის დამადასტურებელი საბუთი, ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შვილების დაბადების მოწმობის ასლები, ფორმა N 100 სამედიცინო დაწესებულებიდან და ანგარიშფაქტურა აფთიაქიდან. დ) ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები წარმოადგენენ პირადობის მოწმობის ასლს, ანგარიშ-ფაქტურას აფთიაქიდან და ფორმა 100 სამედიცინო დაწესებულებიდან. ე) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირებზე დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა საქართველოს უსინათლოთა კავშირის ქუთაისის ფილიალის მომართვის საფუძველზე თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენით: პირადობის მოწმობის ასლი, შშმ-ის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფორმა 100 სამედიცინო დაწესებულებიდან, ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან.</p>		
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა		
5.	ქვეპროგრამის ღონისიებები	სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრირებული 65 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები	ერთეულის ფასი 150 ლარი	103.00
		ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები	ერთეულის ფასი 150 ლარი	10.00
		ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანებზე, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირები	ერთეულის ფასი 200 ლარი	40.00
		მკვეთრად შეზღუდული, ნულოვანი მხედველობის მქონე პაციენტები	ერთეულის ფასი 150 ლარი	27.00

		ჰემოდალიზზე მყოფი პაციენტები	ერთეულის ფასი 100 ლარი	20.00	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მედიკამენტების ხელმისაწვდომობა			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	950	1000	არამომართვიანობა

ა.გ) ქვეპროგრამა: სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	750.0
3	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირებისათვის სამედიცინო მომსახურების, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე შემდგომი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირები, მარტოხელა მშობლები და მათი შვილები, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის „მრავალშვიანი ოჯახების დახმარების“ ს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები, საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა საზოგადოება “მემორიალი” - ს ოჯახის წევრები, რომლებიც არ წარმოადგენენ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის 100 % დაფინანსებით მოსარგებლებს. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 1000 ლარისა, გამონაკლის წარმოადგენს კარდიოლოგიური ავადმყოფები მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა პირი ზემოთაღნიშნულ პრიორიტეტულ ჯგუფს, რომლებიც დახმარებით ისარგებლებენ არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე, თანაგადახდის პრინციპით, არაუმეტეს 1000 ლარისა. რადიოლოგიური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შემთხვევაში დახმარება გაიცემა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე, კარდიოლოგიურ პაციენტებზე და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ყველა სხვა შემთხვევაში დახმარების საკითხი განიხილება და გადაწყდება დაავადების სიმძიმის, მკურნალობის მეთოდის, ღირებულების, ბენეფიციარის მატერიალური მდგომარეობის მოკვლევის საფუძველზე და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ანგარიშგაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების შემთხვევაში ბენეფიციარის სტაციონარიდან გამოწერამდე მათი უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, მიმდინარე ფორმა 100 და წინასწარ ანგარიშგაქტურას. დაფინანსების შემთხვევაში მომსახურების გაშწევი დაწესებულება წარმოადგენს გაწეული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვას. ლიმიტს ზევით დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე. ბ. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების

		<p>სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზრაურებაში დახმარება. პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქ.ქუთაისის რეგისტრირებული, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით მოსარგებლე, პირები, დახმარება გაიცემა არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე, როგორც მკურნალობის, ასევე დიაგნოსტიკის შემთხვევაში, არაუმეტეს 1500 ლარისა. მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ანგარიშფაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ლიმიტს ზევით დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე. გ. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ხელშეწყობის მიზნით C ჰეპატიტით დაავადებული, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის, სამკურნალო ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დიაგნოსტიკის და მკურნალობის პერიოდში სახემწიფო პროგრამით გათვალისწინებული მონიტორინგის ღირებულების 30% თანადაფინანსება. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს, C ჰეპატიტით დაავადებული, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც ჩართული არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს C ჰეპატიტის მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე, სახელმწიფო პროგრამის C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის კომპონენტში. განსაზღვრული მომსახურება ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დიაგნოსტიკური ჯგუფისათვის დადგენილი ღირებულების 30%-სა. პროგრამით მოსარგებლე პირებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა № 100, ანგარიშფაქტურა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სამედიცინო მომსახურება	ერთეულის ფასი არაუმეტეს 1000 ლარი	500.00	
		C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევები		20.00	
		ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულის პირების სამედიცინო მომსახურება	ერთეულის ფასი არაუმეტეს 1500 ლარი	230.00	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2381	3000	არამომართვიანობა

ა.დ) ქვეპროგრამა: ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 04)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	70.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქ.ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერის და დანართის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ყოველთვიურად, თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად ფორმა #100-ის მიხედვით არაუმეტეს 50 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით, აღნიშნული პროგრამით არ დაფინანსდება ის ანტიკონვულსანტები, რომლებიც გათვალისწინებულია "ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში. ამასთან, თითოეულ ბენეფიციარზე მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება გაიცემა სამ თვეში ერთხელ და შესაბამისად, დახმარების მიღება განხორციელდება არა უმეტეს 150 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით. ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ფორმა #100 და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ლიმიტს ზემოთ დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების შესწავლის საფუძველზე გამონაკლის შემთხვევაში.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მედიკამენტებით დახმარება		70.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მედიკამენტების ხელმისაწვდომობა			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	180	190	არამომართვიანობა

ა.ე) ქვეპროგრამა: ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 05)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	10.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამით მოსარგებლე არასრულწლოვან პირებს დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს პირადი განცხადების მომართვის საფუძველზე, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 100 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად საჭიროა: ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, არასრულწლოვანის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა N100-ი და ანგარიშის რეკვიზიტი ბანკიდან.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა			

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება			10.0
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელმისაწვდომი სპეციფიკური საკვები			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	5	10	არამომართვიანობა

ბ) პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	3,946.4			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.			
4.	პროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა ბენეფიციარებისათვის			
6.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა			

ბ.ა) ქვეპროგრამა: სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	50.0			

3.	ქვეპროგრამის აღწერა	1. ქალაქ ქუთაისში ზ. ჭავჭავაძის N1 და N3 მდებარე სოციალური საცხოვრისის მოზინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერჯისა (თითოეულ ოჯახს თვეში არაუმეტეს 60 ლარი) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტიური ხარჯის მიხედვით. 2. ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქ.N40 მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიერ დახარჯული ელექტროენერჯის თანხის ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტიური ხარჯის მიხედვით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა	50.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფილი საცხოვრისი			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	14	95	

ბ.ბ) ქვეპროგრამა: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1,000.0
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქის დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია მრავალშვილიანი ოჯახების წახალისება და დახმარება

<p>4. ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრები მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0–დან 70 000–მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაეწევათ მატერიალური დახმარება თვეში 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით. სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული და მცხოვრები იყოს ქალაქ ქუთაისში დახმარების დანიშნამდე არანაკლებ ერთი წლისა. მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება დაენიშნებათ განცხადებით მიმართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში არასრულწლოვან ბავშვს დახმარება შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარებით ვერ ისარგებლებს არასრულწლოვანი ბავშვი, თუ ის იმყოფება სახელმწიფო კმაყოფაზე. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტ) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, კერძოდ, 5 (ხუთი) შვილიან ოჯახს – 500 ლარის ოდენობით, 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა – 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილიანი ოჯახის დახმარება შეადგენს 1000 ლარს. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც 2020 წელს შეეძინებათ მე-4, მე-5 და შემდეგი შვილი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად. მე-4 შვილის შეძენისას დახმარება გაეწევა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, მე-5 შვილის შეძენისას – 1100 (ათასასი) ლარის ოდენობით, მე-6 შვილის შეძენისას – 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით, მე-7 შვილის შეძენისას – 1300 (ათასსამასი) ლარის ოდენობით, მე-8, მე-9 და ა.შ. შვილის შეძენისას – 1400 (ათასოთხასი) ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების სახით. მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებს 20 ლარის ოდენობით ელექტროენერჯის თანადაფინანსებას.</p>	
<p>5. ქვეპროგრამის ღონისძიებები</p>	<p>მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0–დან 70000–მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე, მატერიალური დახმარების გაწევა</p> <p>მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი, სხვა დანარჩენ შემთხვევაში თითოეულ არასრულწლოვან შვილზე, მატერიალური დახმარების გაწევა</p> <p>მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის შეძენისას მატერიალური დახმარება</p> <p>მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტ) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევა ერთჯერადად</p> <p>მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების სახით.</p> <p>მრავალშვილიანი ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებს 20 ლარის ოდენობით ელექტროენერჯის თანადაფინანსებას.</p>	<p>270.0</p> <p>480.0</p> <p>90.0</p> <p>70.0</p> <p>60.0</p> <p>30.0</p>

6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	548	570	არამომართვიანობა

ბ.გ) ქვეპროგრამა: სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	5.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ემსახურება საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებას. განიხილება ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯების გაწევამი დახმარების საკითხი. დახმარებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს: ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯის გამღები პირის განცხადება და პირადობის მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	გარდაცვლილი ვეტერანის პატივგება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სარიტუალო დახმარება		5.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სარიტუალო პროცესი			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა			არამომართვიანობა

ბ.დ) ქვეპროგრამა: სოციალური ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 04)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	333.5			

3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების სამკურნალო - სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) სამკურნალო – სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა (სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში). განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, დახმარების საკითხი გადაწყდება დამატებითი არგუმენტებისა (ექიმის რეკომენდაცია) და გარემოებების გათვალისწინებით.	
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა	
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	I იანვარს, ქალაქ ქუთაისში დაბადებული ახალშობილების მშობლების (ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები) მატერიალური დახმარება. თანხა განაწილდება პროპორციული წესით არანაკლები 1000 ლარისა.	5.0
		15 თებერვალს, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის წლისთავთან დაკავშირებით, ავღანეთის ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება (თანხა განაწილდება პროპორციული წესით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი)	6.0
		26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (თანხა განაწილდება პროპორციული წესით, დასავლეთ საქართველოს ჩერნობილელ ინვალიდთა კავშირის მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი)	10.5
		9 მაისს, ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, (მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი), თითოეულს არა უმეტეს 1000 ლარისა.	25.0
		ადდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	60.0
		საზაფხულო დასვენების მოწყობა შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) 3-18 წლის შშმ პირებისათვის, მათი მომვლელებისათვის და 18 წელს ზემოთ შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციის ბენეფიციარებისათვის (საჭიროების შემთხვევაში ქ. ქუთაისში რეგისტრირებული მომვლელი), რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს	105.0

		2004 წელს აგვისტოს ქართულ ოსური კომფლიქტის და 2008 წლის 8 აგვისტოს ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები დაღუპული მეომრების ოჯახების მატერიალური დახმარება. დაღუპული მეომრის ოჯახის წევრის ინდივიდუალური მომართვის საფუძვლზე ოჯახს, ერთჯერადად მიეცემა მატერიალური დახმარება 1000 ლარის ოდენობით.	9.0		
		17 ოქტომბერს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება, (თანხა განაწილდება პროპორციული წესით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, შ.შ.პ პირების სტატუსის, პირადობისა და ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი)	15.0		
		ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	60.0		
		„წითელი ჯვრის“ ქუთაისის ორგანიზაციის მხარდაჭერა	15.0		
		ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ფარგლებში გვირგვინებისა და თაიგულების შექმნა	1.0		
		ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო კავშირის ხარჯი	2.0		
		100 და მეტი წლის ბენეფიციარების მატერიალური დახმარება, თითოეულს 1000 ლარი	5.0		
		„60+“ ხანდაზმულთა კლუბის თანადაფინანსება	15.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	5606	5700	არამომართვიანობა

ბ.ე) ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 05)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	168.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. პროგრამა ითვალისწინებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მოხმარებული ელექტროენერჯისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების თანადაფინანსებას. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 0-70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, დახმარებით მოსარგებლე ოჯახებს მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება აუნაზღაურდება შემდეგი პრინციპით: ერთწევრიან და ორწევრიან ოჯახებს 48 ლარი, სამ, ოთხ და ხუთწევრიან ოჯახებს - 72 ლარი, ექვს და შვიდწევრიან ოჯახებს -96 ლარი, რვა და მეტ წევრიან ოჯახებს -120 ლარი. თანხები გადაიწილდება თვეების მიხედვით პროპორციულად. თანხა აუნაზღაურდება მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველების მქონე ბენეფიციარებს. ელექტრო ენერჯის ღირებულების ანაზღაურება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიის („ენერგო-პროჯორჯიას“) ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 0-70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, დახმარებით მოსარგებლე ოჯახებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულება აუნაზღაურდებათ სულზე 0.5 (ორმოცდაათი) თეთრი. თანხა ანაზღაურდება აბონენტის ნომრის მიხედვით. ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება სოციალური დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. სსიპ სოციალური სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში ელექტროენერჯის აბონენტის ნომრის არარსებობის შემთხვევაში, ბენეფიციართა აბონენტის ნომრების იდენტიფიცირება მოხდება მოქალაქის (ბენეფიციარის) განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სადისტრიბუციო კომპანიის „ენერგო-პროჯორჯიას“ მიერ გაცემული აბონენტის ნომერი (ქვითარი), სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციართა რაოდენობა დაუზუსტებელია და დაზუსტდება პროგრამის მიმდინარეობისას.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა საყოფაცხოვრებო ყოფითი პირობების გაუმჯობესება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების თანადაფინანსება. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ანაზღაურება.	168.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2500	2300	არამომართვიანობა

ბ.ვ) ქვეპროგრამა: განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა (პროგრამული კოდი 06 02 06)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
----	--------------------------------	---

2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	170.0
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირებს, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა საადმზრდელი დაწესებულებიდან, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან ან შვილად აყვანილი, მათთვის დამოუკიდებლად ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ფინანსური დახმარების გაწევა; სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, მიტოვების რისკების პრევენციისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად და ასევე, სახელმწიფო მზრუნველობიდან რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით, მატერიალური დახმარების გაწევა; ჰემოდიალიზზე მყოფი პირების (პაციენტების), სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი: ბავშვთა დაწესებულების (ფილიალების) ყოფილი აღსაზრდელნი, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან გამოსული პირები, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და აქვთ ამ ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროება; ოჯახები, რომელთა წევრთა შემადგენლობიდან სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულია ან რეინტეგრირებულია ერთი ან მეტი ბავშვი და აქვთ ამ პროგრამაში ჩართვის საჭიროება; ჰემოდიალიზზე მყოფი პირები (პაციენტები), რომელთაც აქვთ ამ ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროება. ქვეპროგრამის პირველი და მეორე პუნქტის სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება კომპეტენტური ორგანოს /სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს/ მიერ გაცემული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული იქნება პირის სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებისა და ვადების შესახებ, დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი წესით შემუშავებული და გაცემული დასკვნა-რეკომენდაცია ქვეპროგრამაში 18 წელს მიღწეული პირის ან ოჯახის ჩართვის საჭიროების შესახებ. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის პირველ პუნქტში მითითებულ პირთა წრის დახმარება განსაზღვრულია თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. დახმარების მიღების უფლება წარმოეშობათ სრულწლოვანების მიღწევის მომდევნო თვიდან მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასასრულამდე. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, თითოეულ ბენეფიციარზე ჯამში არაუმეტეს 12 თვისა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მეორე პუნქტში მითითებულ ოჯახებს დახმარება გაეწევათ თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. მატერიალური დახმარება მიეცემა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და იმავდროულად, ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახს/პირს, რომელსაც 2020 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე, 2020 წლის განმავლობაში მოიპოვებს ამ უფლებას. დახმარების გაცემის ვადა განისაზღვრება რეინტეგრაციის მოქმედების ვადით. ბენეფიციარებს დახმარების მისაღებად უფლება წარმოეშობა, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. პროგრამაში ჩართული ოჯახები მატერიალური დახმარებით დაკმაყოფილებიან რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამით მომსახურების ვადის დასრულებამდე 2020 წლის საბიუჯეტო წლის განმავლობაში. გამონაკლის შემთხვევაში, მატერიალური დახმარება შესაძლებელია, დასკვნა-რეკომენდაციის საფუძველზე გაიცეს ბავშვის ჰემოდიალიზი ინტერესიდან გამომდინარე, მისი ოჯახში დაბრუნებამდე ერთი თვით ადრე. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მესამე პუნქტში მითითებულ ჰემოდიალიზზე მყოფ პირებს დახმარება გაეწევათ თვეში ერთხელ 100 (ასი) ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ბენეფიციარის განცხადებით მომართვიდან, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე ბენეფიციარები რეგისტრირებული (მცხოვრები) უნდა იყვნენ ქალაქ ქუთაისში. ბენეფიციარებმა განცხადებასთან და პირადობის დამადასტურებელ მოწმობის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია სამსახურის მოთხოვნის</p>

		საფუძველზე. ჰემოდიალიზზე მყოფმა პაციენტმა ცნობა - სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა N100). პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურება შეუწყდებათ: პირადი განცხადების, გარდაცვალების, საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასვლისა და პროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარის, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ და სრულწლოვანების გამო შეუწყდა მომსახურება, მატერიალური დახმარება	ერთეულის ხარჯი თვეში 200 ლარი	20.00	
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) ჰემოდიალიზზე მყოფი ბენეფიციარების მატერიალური დახმარება	ერთეულის ხარჯი თვეში 100 ლარი	104.00	
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და იმავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახის/პირის მატერიალური დახმარება, რომელსაც 2020 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე, 2020 წლის განმავლობაში მოიპოვებს ამ უფლებას, მის შეწყვეტამდე	ერთეულის ხარჯი თვეში 200 ლარი	46.00	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	120	130	არამომართვიანობა

ბ.ზ) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	40.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, მათთვის უმთავრესი საჭიროების მქონე ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ, ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი სალფეთქებით დახმარება. დახმარების მთხოვნელი ყოველთვის უნდა, განცხადებასთან ერთად, წარმოადგენს კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელ საბუთს, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობას აღნიშნული შპმ ბენეფიციარის „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ, ანგარიშფაქტურას აფთიაქიდან. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ყოველთვის უნდა გაიცემა 40 ლარის ღირებულების საგარანტიო წერილი.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციართა დახმარება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება ჰიგიენური საფენებით	33.0		
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება სველი სალფეთქებით	7.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	.			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	102	120	არამომართვიანობა

ბ.თ) ქვეპროგრამა: უფასო მგზავრობა (პროგრამული კოდი 06 02 08)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	80.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>საქალაქო ტრანსპორტით, ავტობუსით: №1 წრიული (მარცხენა), №1 წრიული (მარჯვენა), №4; №5; №10; №19; №20; №22; №25; №31 – სარგებლობის უზრუნველყოფა შემდეგი კატეგორიის პირებისათვის: ააიპ „ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლი“ ბენეფიციარები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები (ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის კოდი: 100, 111, 112, 113), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად შშმ პირები (კოდი: 311, 312, 313), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულის ოჯახის წევრები (კოდი: 501), „წითელი ჯვრის“ კლუბების ხანდაზმული პენსიონრები (100 ბენეფიციარი), „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამით მოსარგებლე დედები, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, „SOS“-ბავშვთა სოფლის ბენეფიციარები, სტუდენტური ოჯახები (ცოლი და ქმარი, ორთავე სტუდენტი) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ქ.ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები ბენეფიციარები. სულ 1000 პირი. ქვეპროგრამით სარგებლობა მოხდება სამეზავრო მოწმობებისა და ბილეთების გამოყენებით, ბილეთის ფასი 40 თეთრი. ბილეთის გამოყენება შეიძლება სამეზავრო მოწმობასთან ერთად. ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) პირები. სამეზავრო მოწმობის მისაღებად საჭიროა ფოტოსურათის, პირადობის მოწმობისა და კატეგორიის მიმანიშნებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ეკონომიის ხარჯზე, შესაძლებელია დამატებითი კატეგორიის კონტინგენტისა და განსაკუთრებული შემთხვევების მომსახურება სამსახურის გადაწყვეტილებით. ბენეფიციარებზე გაიცემა თითოეულზე თვეში 60 (სამოც) ბილეთი (ბილეთის მისაღებად აუცილებელია ბენეფიციარმა წარმოადგინოს უფასო მეზავრობის მოწმობა). ქვეპროგრამაზე მომსახურე გადამზიდავებისათვის თანხის ანაზღაურება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გახარჯული ბილეთების რაოდენობის მიხედვით.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	<p>მოსარგებლე პირთა კონტიგენტის (ბენეფიციართა) დადგენა. სამეზავრო მოწმობებისა და ბილეთების დამზადება, გაცემა, საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობა.</p>	80.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	840	1000	არამომართვიანობა

ბ.ი) ქვეპროგრამა: უფასო კვება (პროგრამული კოდი 06 02 09)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლი“
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	726.4
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვება დღეში ერთხელ სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის საკვების მიწოდება ოჯახებში ყოველდღიურად</p>

4.	ქვეპროგრამის მიზანი	უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საკვების ხელმისაწვდომობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ადმინისტრაციული ხარჯი		266.4	
		კვების ხარჯები		460.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ააიპ „მაღლიერების სახლში“ მოსიარულე ბენეფიციართა რაოდენობა	800	800	

ბ.კ) ქვეპროგრამა: კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	22.0
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დახმარება გაეწევათ კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება, კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება, თვეში – 95 ლარის ოდენობით და ექვს თვეში ერთხელ, პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – 150 ლარის ოდენობით. დახმარების მიღება მოხდება ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე ვაუჩერის საშუალებით, ვაუჩერი გაიცემა თვეში ერთხელ ელემენტის ღირებულების ანაზღაურებისა და ექვს თვეში ერთხელ პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე. მომსახურება ანაზღაურდება სამუშაოს შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. დახმარების მიღება მოხდება ბენეფიციარის მშობლის/უფლებამოსილი პირის განცხადებით მომართვისთვლიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში დახმარება შეწყდება ასაკის შესრულებიდან მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარება გაიცემა განცხადებასთან ერთად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში. დახმარების მიმღებმა უნდა წარმოადგინოს: ა) მშობლის/უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობა; ბ) არასრულწლოვნის დაბადების მოწმობა; გ) არასრულწლოვნის ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი; დ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა №100 და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია

5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 0-18 წლამდე კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების დახმარება, აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირების მიზნით, კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტების შექმნის თვალსაზრისით	18.0		
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 0-18 წლამდე კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების დახმარება, აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირების მიზნით, ექვს თვეში ერთხელ, პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შექმნის თვალსაზრისით	4.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	10	15	არამომართვიანობა

ბ.ლ) ქვეპროგრამა: ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა (პროგრამული კოდი 06 02 11)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	20.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ლეიკოზით და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებული 0-18 წლამდე ასაკის პირები. პროგრამით მოსარგებლე პირებს დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების მომართვის საფუძველზე, სამ თვეში ერთხელ საბიუჯეტო წლის ბოლომდე . დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 100 ლარის ოდენობით. დახმარების მთხოვნელი განცხადებასთან ერთად წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ავადმყოფის პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ფორმა №100-ს, ლარის ანგარიშის რეკვიზიტებს ბანკიდან.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება	20.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	14	20	არამომართვიანობა

ბ.მ) ქვეპროგრამა: შინმოვლა (პროგრამული კოდი 06 02 12)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	30.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარტასს“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე „შინმოვლის“ პროგრამით სარგებლობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომლებიც მიჯაჭვულნი არიან საწოლს, ან სახლს და საჭიროებენ სამედიცინო და ფსიქოსოციალურ მომსახურებას საცხოვრებელ ადგილზე. სავალდებულოა პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარი რეგისტრირებული იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენდეს არაუმეტეს 100000-ს. განსაკუთრებულ შემთხვევებში დახმარების საკითხი გადაწყდება დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. საწოლს მიჯაჭვული ბენეფიციარები მომსახურებას იღებენ ძირეული მოვლისა და სამედიცინო მანიპულაციების თვალსაზრისით. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების გარკვეულ ნაწილს ბინაზე მიეწოდება ცხელი სადილი, საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით, ჰიგიენური მოვლის საშუალებებით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და სოციალური პირობების გაუმჯობესება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ბენეფიციართა დახმარება	30.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	57	60	არამომართვიანობა

ბ.ნ) ქვეპროგრამა: სოციალური საცხოვრისის მშენებლობა (პროგრამული კოდი 06 02 13)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	528.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქში საბინაო ფონდის არარსებობა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნიდა სოციალურ სფეროში არსებული საკითხების მოგვარების კუთხით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საბინაო ფონდის შექმნა თვითმმართველობის კომპეტენციას წარმოადგენს. 2017 წელს მოხდა აღნიშნული საცხოვრისის შექმნა და უსახლკაროებზე გადაცემა. 2020 წელს განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარჩენილი თანხის ანაზღაურება			

4	ქვეპროგრამის მიზანი	სოციალური პრობემების გაუმჯობესება			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სოციალური საცხოვრისის მშენებლობა	528.0		
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილებული ბენეფიციარები			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ბენეფიციართა რაოდენობა	78	85	

ბ.ო) ქვეპროგრამა: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 02 14)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	550.0
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 2-15 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0; F84.9), სარეაბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს ADOS-2 ტესტირების აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგის საფუძველზე. 1. მიმწოდებელი, ქვეპროგრამაში ჩართვისას, ქვე პროგრამის განმახორციელებელთან წარმოადგენს სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფ იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის კრიტერიუმებს. 2. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის სიას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში - აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი); დ) მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული</p>

	<p>უნდა იყოს ცნობის პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს, 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS-2 აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგი, ADOS ტესტირების შედეგი; ამასთან, სერვისით უწყვეტად სარგებლობისათვის, ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში უნდა იქნეს წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა). ე) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); 3. მიმწოდებელთან, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, ახალი მოსარგებლის ჩართვა ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) სერვისის მიმწოდებელთან, ხოლო ამ უკანასკნელმა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალურ ფორმის სახით ქვეპროგრამაში ჩართვის სურვილის მქონე პირებზე ყოველთვიურად . ქვეპროგრამაში ჩართვისას, პრიორიტეტი მიენიჭება მომლოდინეთა რიგში/სიაში მყოფ სოციალურდ დაუცველ ოჯახს, რომლის ქულა არ არემატება 70 000; ასევე იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა განმახორციელებელს განცხადებით. ქვეპროგრამით განსაზღვრულ სერვისებს წარმოადგენს: მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა; ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ მოიცავს საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური-ინტერდისციპლინური გუნდის – რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი/ფიზიკური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ, ბენეფიციარისათვის ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას, თვეში, არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სესიისა (მათ შორის: გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, ფიზიკური თერაპია, არტ თერაპია, მუსიკალური თერაპია /მათ შორის ჯგუფური თერაპია/. და სხვა. ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომზადება (მათ შორის, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის სწავლება) და კონსულტირება ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით). პროგრამით განსაზღვრული თითოეული ინდივიდუალური სესიის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ, 1 საათს. პროგრამის ფარგლებში, წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20 სესიის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სესიების მინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 14 სესიი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20-ზე ნაკლები სესიის განსაზღვრის შემთხვევაში, სესიების ოდენობის არანაკლებ 3/4³/₄ (15 ვიზიტი) წინააღმდეგ შემთხვევაში ბენეფიციარი, არასაპატიო მიზეზით მინიმალურზე ნაკლები რაოდენობის სესიების მიღების შემთხვევაში იღებს მომსახურების შეწყვეტის წერილობით გაფრთხილებას და განმეორებითი შემთხვევის გამოვლენისას უწყდება დაფინანსება. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება ქ. ქუთაისში რეგისტრირებულ მიმწოდებელ ორგანიზაციებზე ვაუჩერული მეთოდით სრულად, თითოეულ ბენეფიციარზე 420 ლარის ოდენობით. 6 თვეში ერთხელ მომსახურების მიმწოდებლები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში წარმოდგენენ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებით (მ.შ. ABLLS-R, VB-MAPP, ESDM Curriculum Checklist და სხვა) შეფასების შედეგებს. მიმწოდებლის მიერ, შესრულებული სამუშაოს ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, შემდეგი ფორმის მიხედვით: ინფორმაცია ბენეფიციარების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი); ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ (ქცევის გამოყენებითი ანალიზის, მეტყველებისა და ოკუპაციური თერაპიის კურსის თვეში ჩატარებული სესიების რაოდენობისა და ასანაზღაურებელი თანხის თაობაზე). ინფორმაცია ბენეფიციარის</p>
--	--

		<p>კანონიერი წარმომადგენლის შესახებ; ანგარიშ-ფაქტურა, მომსახურების შესაბამი პერიოდის დამადასტურებელი ვაუჩერი, დამოწმებული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ჰქონდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, 1 წლიანი გამოცდილება. ბ) ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების მულტიდისციპლინური ინტერდისციპლინური გუნდის - ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ქვევითი თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი და სხვა - ჩართულობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა; გ) ჰყავდეს ქვევითი თერაპევტი (10 მოსარგებლეზე, არანაკლებ, 1 თერაპევტი. ამასთან, თუ ქვევითი თერაპევტი წარმომადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, რომელიც არის ბავშვის ემოციურ-ქვევითი აშლილობების მართვის უნარ - ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე სპეციალობაში (სპეციალური პედაგოგი, პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი) და გავლილი აქვს გამოყენებითი ქვევითი ქვევითი გამოყენებითი ანალიზის ბაზისური მომზადების საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით და აქვს ქვევითი თერაპიის დამოუკიდებლად ჩატარების, სულ მცირე, 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება. დ) აუცილებელია, ყოველ 5 ქვევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქვევითი თერაპევტი (სუპერვაიზერი), ამასთან, თუ სუპერვაიზერი წარმომადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს ის ჯამში ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობას უნდა უწევდეს 5 ქვევით თერაპევტს და შესაბამისად, არაუმეტეს 50 ბენეფიციარს უნდა მართავდეს) რომელსაც შეუძლია: ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: ABLLS,VB-MAPP, ESDM Curriculum Checklist და სხვა); ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა; აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება; სრულად გავლილი აქვს გამოყენებითი ქვევითი ქვევითი გამოყენებითი ანალიზის საერთაშორისო კურსი ან მომზადებულია საერთაშორისო ექსპერტების მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. ე) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისათვის ერთ-ერთზე სერვისის განსახორციელებლად). ვ) ჯგუფური სეანსის შემთხვევაში, ჯგუფში მოსარგებლეების მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს 2 და მაქსიმალური 4, ხოლო ყოველი 2 მოსარგებლისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული 1 შესაბამისი სპეციალისტი არაუმეტეს 4 ჯგუფური თერაპიისა თვეში. ზ) მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებს წარუდგინოს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. 4. ბენეფიციარს სურვილის შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა შეცვალოს მომსახურე ორგანიზაცია მომდევნო თვის 1 რიცხვიდან.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისიებები	ბენეფიციართა დახმარება	550.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსაგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	120	140	არამომართვიანობა

ბ.პ) ქვეპროგრამა: შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 15)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური			
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	25.0			
3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებისა და რეალიზებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სრულყოფილ ინტეგრაციას. ამასთან, კიდევ უფრო ეფექტური იქნება ასეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივითა და თავად შშმ პირთა ჩართულობით. გამომდინარე აქედან, წინამდებარე პროგრამის ფარგლებში მოხდება შესაბამისი პროფილით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ისეთი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. ამასთან, წარმოდგენილი პროექტები დაფინანსებისათვის /თანადაფინანსებისათვის შეირჩევა კონკურსის წესის შესაბამისად. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე და შშმ პირების მიერ შემოსავლების გამომუშაებაზე ორიენტირებულ პროექტებს. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ ფიზიკურ და შშმ პირებს. ასევე, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შშმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. სავალდებულოა, საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდეს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებისათვის /თანადაფინანსებისათვის შერჩევა, კონკურსის წესის შესაბამისად	25.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2	4	არამომართვიანობა

ბ.ჟ) ქვეპროგრამა: შშმ ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 16)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური		
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	18.0		

3.	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დღის ცენტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება. 2020 წლის განმავლობაში დაფინანსება /თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, ყოველთვიურად წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებისა და ქვითრების შესაბამისად. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი, დეკემბერი), თვეში არაუმეტეს 2400 ლარისა. ხოლო დანარჩენ თვეებში- თვეში არაუმეტეს 1200 ლარისა, რომელიც თანაბრად გადანაწილდება დაფინანსების მთხოვნელ ორგანიზაციებზე.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა	18.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფუნქციონირებადი ორგანიზაციები			
7.	შუალედური შედეგის ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციათა რაოდენობა	5	8	არამომართვიანობა

ბ.რ) ქვეპროგრამა: მარტოხელა მშობელთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 17)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	10.0
3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქ.ქუთაისში მცხოვრები და რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების - ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 30 ლარის ოდენობით. აქედან, ელექტროენერგიის გადასახადის თანადაფინანსება ოჯახზე განისაზღვრება ყოველთვიურად 12 ლარის ოდენობით; ბუნებრივი აირის გადასახადის ანაზღაურება ოჯახზე მოხდება ყოველთვიურად - 15 ლარის, წყლის გადასახადის ღირებულება ოჯახზე განისაზღვრება 3 ლარის ოდენობით. მოხმარებული გადასახადების ღირებულების ანაზღაურება/თანადაფინანსება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით. პროგრამის ბენეფიციარებს განეკუთვნება, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი/შვილები და არ იმყოფება ქორწინებში. ბენეფიციართა იდენტიფიცირება მოხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასურებელი დოკუმენტის მიხედვით. დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლი); ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობები (ასლები); კომუნალური გადასახადების (დენი, წყალი, ბუნებრივი აირი) ქვითრები; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული გადაწყვეტილება _ მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის

		შესახებ და ცნობა მატროხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ (ცნობის განახლება მოხდება 6 თვეში ერთხელ); საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტისამსახურის მოთხოვნით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მარტოხელა მშობლების ყოფითი პირობების გაუმჯობესება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მარტოხელა მშობლების დახმარება			10.0
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	25	35	არამომართვიანობა

ბ.ს) ქვეპროგრამა: ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 18)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	10.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	დახმარების მიმღები პირი/ოჯახი, თავშესაფარში შესვლამდე და თავშესაფრის დატოვების შემდეგ რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ ქუთაისში. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა დახმარება 100 ლარის ოდენობით. სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებმა, ბენეფიციარის თავშესაფრის დატოვებამდე სოციალურ საკითხთა სამსახურს უნდა წარუდგინონ მომართვა და დასკვნა-რეკომენდაცია ოჯახური ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში განთავსების ვადების მითითებით. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და განცხადება პირის/ოჯახის პროგრამაში ჩართვის საჭიროების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, არაუმეტეს 1 წლისა. პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურება შეუწყდებათ: პირადი განცხადების, გარდაცვალების, საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასვლისა და პროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ, ქ.ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) პირს თავშესაფრის დატოვების შემდეგ, მატერიალური დახმარება	10.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	0	10	არამომართვიანობა

ბ.ტ) ქვეპროგრამა: საქართველოს „სოს“ ბავშვთა სოფლის" მიერ განხორციელებული პროექტის - „დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა" (პროგრამული კოდი 06 02 19)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	42.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“-ს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე დაფინანსდება „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტები: ა) „დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა“, რომლის ფარგლებში, დაფინანსდება/თანადაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12-დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში კვება და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება. ბ) „სოციალური საცხოვრისის პროგრამა“, რომლის ფარგლებში დაფინანსდება სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული და/ან ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ რეგისტრირებული სრულწლოვანი (18დან- 21 წლამდე) ასაკის, ქ. ქუთაისში რეგისტრირებული ახალგაზრდების კვება, ჰიგიენური საშუალებებით და სხვა საჭიროებებით მომსახურება. დაფინანსება მოხდება მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ, ყოველთვიურად წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი წარმოადგენს დამატებით დოკუმენტაციას სამსახურის მოთხოვნით.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	მშობლებისათვის სამუშაო დროის გამოთავისუფლება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	„დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა“, რომლის ფარგლებში, დაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12-დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში კვება და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება.	27.0		
		„სოციალური საცხოვრისის პროგრამა“, რომლის ფარგლებში დაფინანსდება სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული სრულწლოვანი ახალგაზრდების კვება, ჰიგიენური საშუალებებით და სხვა საჭიროებებით მომსახურება.	15.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	8	20	არამომართვიანობა

ბ.უ) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 20)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	5.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე, ქ. ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. სმენის აპარატით მოსარგებლე სტუდენტებს დახმარება გაეწევათ აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების თვალსაზრისით. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება, კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება, თვეში – 95 ლარის ოდენობით. მომსახურება ანაზღაურდება სამუშაოს შემსრულებლის მიერ, წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, გადაადგილების პრობლემის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების, ტრანსპორტირების ხარჯი, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში, 10 თვის განმავლობაში. თითოეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა, თვეში 100 ლარის ოდენობით. დახმარების მიღება მოხდება ბენეფიციარის ან მშობლის/უფლებამოსილი პირის განცხადებით მომართვის თვითადას. დახმარება გაიცემა განცხადებასთან ერთად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში. დახმარების მიმღებმა უნდა წარმოადგინოს: ა) პირადობის მოწმობა; ბ) ცნობა-სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა №100); გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი საბუთი; დ) ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან; ე) ლარის ანგარიშის რეკვიზიტი ბანკიდან და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციარს, დახმარება შეუწყდება სტუდენტის სტატუსის შეჩერების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.</p>			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქ. ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების სმენის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტების შეძენა.	1.0		
		ქ. ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების მიზნით, დახმარება.	4.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	3	6	არამომართვიანობა
<p>ბ.ფ ქვეპროგრამა: ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 21)</p>					
1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის საკითხთა სამსახური	მუნიციპალიტეტის	მერიის	სოციალურ
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	50.0			

3	ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამით ისარგებლებენ: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი და მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები, რომლებიც სარგებლობენ რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით. ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რეფერალური კომისიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი, ფორმა N100 და ანგარიშვაქტურა ავთიაქიდან. დახმარების მიღება განხორციელდება არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე საგარანტიო წერილის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალურად რეფერალური კომისიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის მიხედვით, ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის შემთხვევაში. ხოლო მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირებზე დახმარება გაიწევა წელიწადში ერთხელ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 400 ლარის ოდენობით.</p>			
4	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.			
5	ქვეპროგრამის ღონისიებები	მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები	5		
		ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მედიკამენტით(ტრანსტუზუმაბი) თანადაფინანსების დახმარება	45.0		
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მედიკამენტის ხელმისაწვდომობა			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსაკვებლე ბენეფიციართა რაოდენობა	12	15	არამომართვიანობა

ბ.ქ) ქვეპროგრამა: გადაუდებელი რეაგირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 22)

1.	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	50.0

3.	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა სერვისის მიწოდებას. ოჯახის შეფასება მოხდება სოციალურ საკითხთა სამსახურის და საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის წარმომადგენლის მიერ. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდება ოჯახის საჭიროების დადგენა. დასკვნა-რეკომენდაციას შემდგომი რეაგირების მიზნით განიხილავს სამუშაო ჯგუფი. მოქალაქის განცხადების/სხვა უწყების მომართვის საფუძველზე საქმის წარმოებას დაიწყებს მუნიციპალიტეტი. საკითხს შესწავლის შემდეგ განიხილავს სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი შეიქმნება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, სოციალურ საკითხთა სამსახურის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, ეს-ო-ეს ზავშეთა სოფელის, World Vision-საქართველოს, საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასი“-ს და „INER Georgia“-ს წარმომადგენლების მიერ, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. განცხადების შეისწავლა და დასკვნა-რეკომენდაციის მოამზადება მოხდება არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება, საჭიროებისამებრ თვეში არანაკლებ ერთხელ. ოჯახს, დასკვნა-რეკომენდაციის საფუძველზე დახმარების სერვისს შესთავაზებს სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი სამსახურები. გადაუდებელი საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ჩართულობა განისაზღვრება მატერიალური დახმარების კუთხით, თითოეულ შემთხვევაზე არაუმეტეს 1000 ლარი.			
4.	ქვეპროგრამის მიზანი	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება			
5.	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქ.ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები ოჯახების დახმარების საკითხი, რომლებსაც არასრულწლოვანი ბავშვი/ბავშვები ჰყავთ და საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას. პილოტირებული ინიციატივის ფარგლებში, საკითხს შეისწავლის World Vision-საქართველოს ბაზაზე არსებული რეაგირების ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნა-რეკომენდაციას, შემდგომი რეაგირების მიზნით, განიხილავს სამუშაო ჯგუფი.	30.0		
		ქ.ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები ოჯახის, რომელსაც არ ჰყავს არასრულწლოვანი, დახმარების საკითხი. იმ შემთხვევაში თუ ოჯახის წევრი/წევრები იმყოფებიან კრიზისულ მდგომარეობაში და საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას.	20.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	0	50	არამომართვიანობა

ბ.დ) ქვეპროგრამა: მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობი პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 23)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	9.0

3	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების (ხმოვანი წნევის აპარატი; შაქრის საზომი აპარატი) შეძენა და სამედიცინო და სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებებში დამოუკიდებელი და უსაფთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, პერსონალური ასისტენტის (გამცილებლის) და ოპერატორის მომსახურება. პერსონალური ასისტენტის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარით. ოპერატორის შრომის ანაზღაურება 50 (ორმოცდაათი) ლარით, თვეში არანაკლებ 20 ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში. მომსახურება ანაზღაურდება, ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე წარმოდგენილი შესრულებული სამოუშაოს მიხედვით.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	თვის განმავლობაში არანაკლებ 20 (ოცი) გაცილების განხორციელების შემთხვევაში პერსონალური ასისტენტის მომსახურება ანაზღაურდება 500 ლარით. ოპერატორის მომსახურება 50 ლარით.	6.6		
		მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირების ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენა	2.4		
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	4	50	არამომართვიანობა
ბ.ყ) ქვეპროგრამა: ინსულტის რეაბილიტაციის საპილოტე პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 24)					
1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	4.5			
3	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა.ა.ი.პ. ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის „ღია სახლი“_ს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, ორგანიზაციის მიერ ქ. ქუთაისში განხორციელებული ASB საქართველოს პროექტის „თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის“ ფარგლებში, ქ.ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 5 შ შ მ პირისათვის, ინსულტის შემდეგი რეაბილიტაციის პირველი კურსის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას 10% _ს თანადაფინანსებით.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	ფიზიკური, ფსიქოსოციალური და კოგნიტური რეაბილიტაცია/ აბილიტაციის სერვისის განვითარება ნევროლოგიური სტატუსის მქონე შშმ პირებისათვის.			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ბენეფიციართა დახმარება			4.5
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება			

7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ბენეფიციართა რაოდენობა	0	5	არამომართვიანობა

6. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი 07 00): ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის 2020 წელს განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების ხელშეწყობას, ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიორების დაინტერესებას ქალაქის მიმართ; ქუთაისის, რეგიონის ტურისტულ ჰაბად ჩამოყალიბების ხელშეწყობას, გენერალური განვითარების გეგმის ცალკეული კომპონენტების მომზადებას, მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვის უზრუნველყოფას.

ა) პროგრამა: თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა (პროგრამული კოდი 07 01)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	20.0			
3.	პროგრამის აღწერა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან/და აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.			
4.	პროგრამის მიზანი	მუნიციპალური ქონების დაცვა, დამატებითი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია			
5.	პროგრამის ღონისძიებები	უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია	13.0		
		მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურების ჩატარება და საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრა	7.0		
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დაცული მუნიციპალური ქონება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დამატებითი ქონება			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		რეგისტრირებული მუნიციპალური ქონების რაოდენობა	103	75	
		მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონების ერთეულზე გაწეული საექსპერტო მომსახურებისა და საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის	80	100	

		ქირის განსაზღვრის რაოდენობა			
--	--	-----------------------------	--	--	--

ბ) პროგრამა: ქალაქის გენერალური გეგმის შედგენა (პროგრამული კოდი 07 02)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	400.0			
3.	პროგრამის აღწერა	მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო დავალების მომზადება ქალაქის გენერალური გეგმის დამუშავების მიზნით. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა მოიცავს დასახლების მთელ ტერიტორიას, ან მის ნაწილებს. გეგმების შესრულება სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოდგენილია დასახლების სივრცით-ტერიტორიული განვითარების ზოგადი პრინციპები, რომლებიც საჭიროებისამებრ ზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმებში.			
4.	პროგრამის მიზანი	მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისათვის საპროექტო დავალებების შემუშავება შესაბამისი სპეციალისტების კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით			
5.	პროგრამის ღონისძიებები	ქალაქში არსებული ყველა სახელმწიფო, ადგილობრივი უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან, ასევე ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეებიდან შესაბამისი ინფორმაციების მოპოვება ტექნიკური დავალების მომზადებისა და კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად.	400.0		
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მიწათსარგებლობის გენერალური და განაშენიანების რეგულირების გეგმების დოკუმენტების შექმნა და შესაბამისი წესით მათი დამტკიცება სხვა სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებით			
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ქალაქის გენერალური გეგმის საბოლოო დოკუმენტის შექმნისათვის მიმდინარე დოკუმენტების ერთობლიობა	0	2	კვალიფიციური საპროექტო ორგანიზაციის გამოვლენა

გ) პროგრამა: ეკონომიკის სტიმულირებისა და ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 07 03)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	100.0			

3.	პროგრამის აღწერა	ქუთაისის საინვესტიციო მიმზიდველობისა და გარეპოზიციონირებისათვის საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება; პოტენციურ ინვესტორთა დაინტერესებისათვის ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიოს მომზადება, ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობისა და პოპულარიზაციის გაზრდის ხელშეწყობისათვის ქალაქში/რეგიონში ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება, ადგილობრივ მეწარმეთა მხარდაჭერის მიზნით კონკურსის და დაჯილდოების ცერემონიის "წლის ბიზნესი" მოწყობა. ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვის პროექტის განხორციელება და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება, საინფორმაციო - საკონსულტაციო სერვისის განხორციელება ადგილობრივი ბიზნესისათვის, საინფორმაციო ბუკლეტების, ბანერების, ბლოკნოტების გამოცემა			
4.	პროგრამის მიზანი	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტიმულირება			
5.	პროგრამის ღონისძიებები	საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი		60.0	
		ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიოს მომზადება		5.0	
		ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-ბაზრობა		11.0	
		კონკურსი "წლის ბიზნესი"		8.0	
		საინფორმაციო - საკონსულტაციო სერვისის განხორციელება ადგილობრივი ბიზნესისათვის, საინფორმაციო ბუკლეტების, ბანერების, ბლოკნოტების გამოცემა		4.0	
6.	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა, პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება		12.0	
7.	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		გამართული გამოფენა-ბაზრობების, ეკონომიკური ფორუმების, კონფერენციების, კონკურსების რაოდენობა	1	4	
		საინვესტიციო პორტფოლიოს გამოცემა	0	1	
		განხორციელებული ენერგოეფექტური პროექტისა და ღონისძიებების რაოდენობა	0	2	
		ადგილობრივი ბიზნესისათვის საინფორმაციო ბუკლეტების, ბანერების, ბლოკნოტების რაოდენობა	0	3	

დ) პროგრამა: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 04)

1.	პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ "იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია"			
2.	პროგრამის ბიუჯეტი	710.8			
3.	პროგრამის აღწერა	ქუთაისში არის ტურისტული ჰაბი, სადაც მზარდია ტურისტთა რაოდენობა, რაც აუცილებელს ხდის ტურიზმის ცენტრის ფუნქციონირებას			
4.	პროგრამის მიზანი	ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე			
5.	პროგრამის ღონისძიებები	ტურისტული ცენტრის ფუნქციონირება		430.8	
		საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე მონაწილეობის მიღება		120.0	
		ბრენდინგი		50.0	
		მედია და ინფო ტურების განხორციელება		110.0	
6.	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ტურისტების რაოდენობის ზრდა			
7.	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		ჩატარებული ფესტივალების რაოდენობა	12	15	
		ჩატარებული გამოფენების რაოდენობა	10	10	
		ტურისტების რაოდენობა	20000	30000	